



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



# საპარლამენტო კონსტიტუციური საქართველოში

(2019 წლის საგაზაფხულო სესიის შეფასება)

თბილისი  
2020



კვლევის ხელმძღვანელი:

**ლიკა საჯაია**

წამყვანი მკვლევარი:

**გიგი ჩიხლაძე**

მკვლევარი:

**თამარ ტატანაშვილი**

კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტაჟიორებს: გური ბალიაშვილს, ელენე თუთბერიძეს, ქეთევან სირაძეს, თამუნა ჩარქსელიანს.

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs

<b>შესავალი</b>	6
<b>თავი I. ძირითადი მიგნებები</b>	7
<b>თავი II. საპარლამენტო კონტროლის განხორციელება - 2019 წლის</b>	
<b>საგაზაფხულო სესია</b>	11
2.1 მთავრობისათვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადება	11
2.1.1 მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება	11
2.1.2 მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება	12
2.2 პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება	12
2.3 პრემიერ-მინისტრის რიგგარეშე ანგარიში	13
2.4 პარლამენტის წევრის კითხვა	14
2.5 ინტერპელაცია	20
2.6 მინისტრის საათი	24
2.7 პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა	27
2.7.1 პლენარულ სხდომაზე მიწვევა	27
2.7.2 თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე მოსმენა, მათი ინიციატივით	28
2.7.3 თანამდებობის პირების მოწვევა კომიტეტის სხდომაზე	31
2.8 პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ანგარიშების მოსმენა	39
2.8.1 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა (სახალხო დამცველის ანგარიშები)	44
2.8.2 ეროვნული ბანკის ანგარიში	46
2.8.3 საპენსიო სააგენტოს საქმიანობის ანგარიში	46
2.8.4 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში	46
2.8.5 იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ანგარიში	47
2.8.6 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ანგარიში	48
2.8.7 პროკურატურის საქმიანობის ანგარიში	49
2.8.8 ანგარიშები საჯარო ინფორმაციის შესახებ	50
2.9 საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების მიერ განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი	53

2.9.1 დროებითი საგამოძიებო კომისია	53
2.10 საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია	55
2.11 საჯარო სახსრების მართვის კონტროლი	55
2.11.1 მოხსენება ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ	55
2.11.2 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის განხილვა	56
2.11.3 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიში	57
2.11.4 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფი	57
2.12 ნორმატიული აქტების და გარდამავალი დებულებების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი	58
2.12.1 აგრარულ საკითხთა კომიტეტი	59
2.12.2 ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	60
2.12.3 გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	61
2.12.4 განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი	61
2.12.5 დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	62
2.12.6 დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი	63
2.12.7 ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	63
2.12.8 თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	64
2.12.9 იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	65
2.12.10 რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი	66
2.12.11 საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	67
2.12.12 საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი	67
2.12.13 საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	67
2.12.14 სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი	68
2.12.15 ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	68
2.13 თემატური მოკვლევა	70
2.14 საპარლამენტო კონტროლი საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე	73
2.14.1 ნდობის ჯგუფის საქმიანობა	73
<b>თავი III. რეკომენდაციები</b>	<b>76</b>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, პარლამენტის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, წარმოადგენს კვლევას საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ. კვლევაში შეფასებულია 2018 წლის 16 დეკემბრიდან<sup>1</sup> 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი და მისი შედეგები, ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები.

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებებით, საქართველო სრულად გადავიდა მართვის საპარლამენტო მოდელზე. საპარლამენტო რესპუბლიკაში საპარლამენტო კონტროლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ზედამხედველობით პარლამენტი უზრუნველყოფს დემოკრატიულ მმართველობას, დამოუკიდებელი ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას და ძალაუფლებათა ბალანსს.

საკონსტიტუციო ცვლილებები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებისათვის, გამარტივდა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურა, პრემიერ მინისტრის ვალდებულებად განისაზღვრა -წელიწადში ერთხელ გეპირი მოხსენება წარუდგინოს პარლამენტს, დამკვიდრდა ინტერპელაციის ინსტიტუტი და გამარტივდა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა. საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2018 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, გაიწერა კონსტიტუციის დადგენილი საპარლამენტო ზედამხედველობის პროცედურა და დაინერგა კონტროლის ახალი მექანიზმები. მაგ.: მინისტრის საათი და თემატური მოკვლევის ჯგუფი.

კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს პირველ სესიას, პარლამენტის ახალი რეგლამენტის<sup>2</sup> ამოქმედების შემდეგ და, შესაბამისად, განხილულია, როგორც საპარლამენტო კონტროლის ახალი მექანიზმების დანერგვის პრაქტიკა, ასევე, ახალ რეგლამენტამდე არსებული მექანიზმების განვითარების დინამიკა.

კვლევა ეყრდნობა, როგორც კანონმდებლობის ანალიზს, ასევე პარლამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და ჩვენი ორგანიზაციის მიერ „პარლამენტის მონიტორინგის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული დაკვირვების შედეგებს. ანგარიშის ფარგლებში, საპარლამენტო კონტროლის პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დადგენის მიზნით, ჩაიწერა დეტალური ინტერვიუები პარლამენტის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან: პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან - გიორგი კახიანი, პარლამენტის დამოუკიდებელ წევრთან - თამარ ჩუგოშვილი, ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მდივანთან - ხათუნა გოგორიშვილი, პარლამენტის დამოუკიდებელ წევრთან - ეკა ბესელია, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილესთან - სალომე სამადაშვილი, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“ მდივანთან - გელა მიქაძე.

კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები კანონმდებლობის დახვეწის და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მიზნით.

1 პარლამენტის რეგლამენტის ძირითადი ნაწილის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრული 2018 წელს არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების დღე იყო. არჩეულმა პრეზიდენტმა ფიცი 2018 წლის 16 დეკემბერს დადო.

2 აქ და შემდეგაც „ახალ რეგლამენტში“ იგულისხმება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, [matsne.ge](http://matsne.ge), 14/12/2018, 3875-რს.



# თავი I. ძირითადი მიზნები

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებებით და 2018 წლის 6 დეკემბერს მიღებული პარლამენტის რეგლამენტით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საპარლამენტო კონტროლის საკანონმდებლო გარანტიები, დამკვიდრდა საპარლამენტო ზედამხედველობის ახალი მექანიზმები და დაიხვეწა არსებული პროცედურები. საკანონმდებლო ნორმების გაუმჯობესება დადებითად აისახა საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პრაქტიკაზე.

პროგრესის მიუხედავად, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესში, კვლავ პრობლემად რჩება, როგორც დეპუტატების, ასევე მთავრობის წევრთა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი, საკანონმდებლო ნორმებთან ერთად, საპარლამენტო ზედამხედველობის ტრადიციის არარსებობაა. საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებას და საკანონმდებლო ნორმების ეფექტურად ამოქმედებას ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს პარლამენტის წევრების დამოუკიდებლობის მაღალმა ხარისხმა და მათმა პოლიტიკურმა ნებამ - განახორციელონ კონტროლი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებზე.

ახალი რეგლამენტის ამოქმედების პირველ სესიაზე, საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით, შემდეგი პოზიტიური ტენდენციები და გამოწვევები გამოიკვეთა:

## პოზიტიური ცვლილებები

### კანონმდებლობა

- საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებები მნიშვნელოვანია საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების თვალსაზრისით: გამარტივდა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურა და შესაბამისად, გაძლიერდა ოპოზიციის როლი კომისიის შექმნის პროცესში, პრემიერ-მინისტრის ვალდებულებად განისაზღვრა, წელიწადში ერთხელ ზეპირი მოხსენება წარუდგინოს პარლამენტს, დამკვიდრდა ინტერპელაციის ინსტიტუტი, გამარტივდა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა. კონსტიტუციით დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა რეგლამენტში, სადაც გაიწერა კონკრეტული პროცედურები;
- პარლამენტის რეგლამენტით დამკვიდრდა საპარლამენტო კონტროლის ახალი მნიშვნელოვანი მექანიზმები - მინისტრის საათი, თემატური მოკვლევის ჯგუფი, ფრაქციების მიერ ანგარიშვალდებული ორგანოების დაბარება კომიტეტის სხდომაზე;
- პარლამენტის რეგლამენტმა განსაზღვრა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ცნება და ანგარიშების განხილვის პროცედურა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშების განხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ და კომიტეტის დასკვნის წარდგენა პლენარულ სხდომაზე;
- პარლამენტის რეგლამენტმა საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესში შემოიტანა დებატების კომპონენტი, მაგ: ინტერპელაციის და პლენარულ სხდომაზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის მოწვევისას.

## პრაქტიკა

- კანონმდებლობით დადგენილი საპარლამენტო კონტროლის ახალი მექანიზმების ამოქმედების შედეგად, გაიზარდა მთავრობის წევრთა ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე. მინისტრები, ინტერპელაციისა და მინისტრის საათის ფარგლებში, აქტიურად ესწრებიან პლენარულ სხდომებს და პასუხობენ დასმულ შეკითხვებს;
- პარლამენტის წევრები უფრო აქტიურად იყენებენ დეპუტატის კითხვის უფლებას. საანგარიშო პერიოდში, პარლამენტის 36-მა წევრმა 464 წერილობითი კითხვა გააგზავნა ანგარიშვალდებულ ორგანოებთან, მაშინ, როდესაც 2018 წელს, სრული წლის განმავლობაში, 482 კითხვა იყო გაგზავნილი. 464-დან 416 კითხვას გაეცა პასუხი ;
- ფრაქციები აქტიურად იყენებენ მთავრობის წევრთა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოების კომიტეტის სხდომაზე დაბარების უფლებას. საანგარიშო პერიოდში ფრაქციებმა 32-ჯერ დაიბარეს ანგარიშვალდებული პირები კომიტეტის სხდომაზე. 20 შემთხვევაში თანამდებობის პირები არ გამოცხადდნენ კომიტეტის სხდომაზე;
- პარლამენტში იქმნება თემატური მოკვლევის ჯგუფები, რომლებიც მოკვლევის საფუძველზე ამზადებენ ანგარიშსა და რეკომენდაციებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ ჩატარებული მოკვლევა, თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ;
- საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაიზარდა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების კომიტეტებზე განხილვის პრაქტიკა.

## გამონვევები

### კანონმდებლობა

- საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში, ოპოზიციის როლი კანონმდებლობით სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტიდან გამომდინარე, ყველა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლები იკავებენ. ასევე, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნისას, რეგლამენტი არ ითვალისწინებს ოპოზიციურ ფრაქციებთან კონსულტაციის ვალდებულებას და მათთან კონსენსუსის გზით გადანყვეტილების მიღებას, რაც ბრდის პოლიტიზირებული გადანყვეტილების მიღების რისკებს. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, არც ერთი მაღალი მნიშვნელობის მქონე საკითხის შემთხვევაში, არ გვხვდება ოპოზიციის აზრის გათვალისწინების ვალდებულება, რომელიც ამა თუ იმ გადანყვეტილების მაღალ ლეგიტიმაციას უზრუნველყოფდა და პოლიტიკური პოლარიზების შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე, საპარლამენტო კონტროლი სუსტია. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ, უსაფრთხოების სისტემაზე განხორციელებული კონტროლი ფორმალურია, რადგან კომიტეტის წევრებს არ აქვთ სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება, ხოლო ნდობის ჯგუფს პარლამენტის რეგლამენტი ინფორმაციასთან წვდომის შეზღუდულ მანდატს ანიჭებს, არ არის უზრუნველყოფილი ექსპერტთა ჩართულობა უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის პროცესში;
- დასახვეწია მინისტრის საათის პროცედურები. საპარლამენტო კონტროლის ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმების განხორციელებისას, როგორცაა მინისტრის საათი, რეგლამენტი არ ითვალისწინებს პოლიტიკურ დებატებს. მინისტრის საათი ასევე შეზღუდულია სამთავრობო პროგრამის შესრულების თემატიკით. მართალია პრაქტიკაში მინისტრები ყველა დასმულ შეკითხვას პასუხობენ, თუმცა მნიშვნელოვანია კანონმდებლობით გამყარდეს კარგი პრაქტიკა;



- ინტერპელაციის შეზღუდული პერიოდულობა (ორჯერ სესიის განმავლობაში) შეიცავს რისკებს, რომ დასმულმა საკითმა ინტერპელაციამდე აქტუალობა დაკარგოს. ინტერპელაციის პროცედურის განხორციელებისას, შეკითხვების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მცირდება პროცედურისთვის გამოყოფილი დრო, შედეგად, მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, შესაძლოა, საფუძვლიანად ვერ მოხერხდეს და, ასევე, პოლიტიკური მოტივებით, ხელოვნურად შემცირდეს დრო;
- მთავრობის წევრის და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა თანამდებობის პირის კომიტეტზე დაბარება, მისი კომიტეტის სხდომაზე დასწრებიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ არის შესაძლებელი. ამ საფუძველზე, არაერთხელ ეთქვა უარი პარლამენტის ფრაქციებს, ანგარიშვალდებული პირის სავალდებულო წესით მონაწილეობაზე. შედეგად, ფრაქციას ერთმევა უფლება, აქტუალურ საკითხზე, კომიტეტის სხდომაზე მოიწვიოს ანგარიშვალდებული პირი, თუკი იგი, სხვა ფრაქციის ან კომიტეტის მიერ, გასულ ორ თვეში იყო კომიტეტზე დაბარებული.

### პრაქტიკა

- საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას, პარლამენტის წევრები არ ავლენენ დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, შედეგად, საპარლამენტო კონტროლი არ ეხება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ყველა ძირითად საკითხს და კონტროლის შედეგებიც არაეფექტურია;
- პარლამენტი არ იყენებს საპარლამენტო კონტროლის ყველა მექანიზმს, მაგ. მე-8 და მე-9 მონვევის პარლამენტში არასდროს გამოუყენებიათ ფრაქციების მიერ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე დაბარების უფლება და პარლამენტს პრემიერ-მინისტრისათვის არ მოუთხოვია სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- ინტერპელაციის მარეგულირებელი ნორმის არასწორმა განმარტებამ, თითოეული ინტერპელაციისთვის გამოყოფილი დროის არაადეკვატური სიმცირე გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ინტერპელაციის პროცესი და მომავალში, საპარლამენტო კონტროლის ამ მექანიზმის გამოყენებას, შესაძლოა, აზრი დაუკარგოს;
- მთავრობის წევრები და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა თანამდებობის პირები სათანადო პასუხისმგებლობითარეკიდებიან პარლამენტის მიერ კონტროლის განხორციელებას, მაგ. მინისტრები დროულად და სრულად არ პასუხობენ სადეპუტატო კითხვებს, (416 დასმული კითხვიდან 48 კითხვას პასუხი არ გაეცა, ხოლო 119 კითხვას პასუხი გაეცა დაგვიანებით), საანგარიშო პერიოდში ფრაქციებმა 32-ჯერ დაიბარეს ანგარიშვალდებული პირები, მათგან 20 შემთხვევაში თანამდებობის პირი არ დაესწრო კომიტეტის სხდომას;
- ფრაქციის მიერ დაბარებული მთავრობის წევრები, უმეტეს შემთხვევაში, არ მიდიოდნენ კომიტეტის სხდომაზე, იმ მოტივით, რომ ამ საკითხზე პლენარულ სხდომაზე ისაუბრებდნენ, რაც არასწორი პრაქტიკის დამკვიდრებას უწყობს ხელს. საპარლამენტო კონტროლის კონკრეტული მექანიზმის გამოყენება, არ წარმოადგენს იმავე თემაზე საპარლამენტო კონტროლის სხვა მექანიზმზე უარის თქმის საფუძველს;
- მიუხედავად იმისა, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურა მნიშვნელოვნად გამარტივდა, საანგარიშო პერიოდში არ შექმნილა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია. დარეგისტრირდა კომისიის შექმნის ორი მოთხოვნა: „თიბისი“ ბანკსა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან დაკავშირებულ პირებზე შესაძლო ბენოლის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“ (ინიციატორი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ევროპული საქართველო-რეგიონები“) და შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის

თაობაზე” (ინიციატორები: საპარლამენტო ფრაქცია “პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები). პლენარულ სხდომაზე არც ერთი საკითხის განხილვა არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი დღის წესრიგში იყო შეტანილი.

- კომიტეტები, ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებს ყოველთვის კანონით დადგენილ ვადაშიარ განიხილავენ და შესაბამის დასკვნას არაკეთებენ. რამდენჯერმე მოხდა, კონკრეტული დასაბუთების გარეშე, ანგარიშის განხილვის და დასკვნის მიღების ვადის გადაწევა. მაგ. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: მთავარი პროკურატურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვის დროს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში. კომიტეტმა 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე არ წარმოადგინა დასკვნა და დასკვნის წარმოდგენისათვის სამჯერ სთხოვა ბიუროს ვადის გადაწევა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, ასევე ოთხჯერ მოითხოვა იურიდიული დახმარების სამსახურის 2018 წლის ანგარიშის განხილვისათვის ვადის გადაწევა და, საბოლოოდ, ანგარიშის განხილვა საშემოდგომო სესიისთვის გადაიდო. გადადების მოთხოვნის კონკრეტულად დასაბუთებული საფუძვლები არც ამ შემთხვევაში იყო წარმოდგენილი;
- უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის პრაქტიკა კვლავ სუსტია, რასაც განაპირობებს, როგორც კანონმდებლობა და ნდობის ჯგუფის შეზღუდული მანდატი, ასევე შეზღუდული ადამიანური რესურსი. არასწორი პრაქტიკა დამკვიდრდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ანგარიშის განხილვისას. ანგარიში კომიტეტის და პლენარულ დახურულ სხდომებზე განიხილება, მაშინ, როდესაც ნდობის ჯგუფის გარდა, პარლამენტის სხვა წევრებს არ აქვთ სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება. შესაბამისად, სხდომაზე არ შეიძლება ყოფილიყო რაიმე სახის სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციაზე მსჯელობა;
- პრობლემას წარმოადგენს საპარლამენტო კონტროლის პროცესის გამჭვირვალობა, მაგ. ვებ გვერდზე არ დევს ინფორმაცია ყველა თემატური მოკვლევის ჯგუფის შესახებ, საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაცია არასისტემატიზებული სახით იძებნება, ზოგიერთი ინფორმაციის მოძიება ვებგვერდზე შეუძლებელია, მაგ. თუ რატომ არ გამოცხადდა კონკრეტული მინისტრი კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტები, საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებულ ინფორმაციას არასრულად და საჯარო ინფორმაციის მონოდებისათვის დადგენილი ვადების მნიშვნელოვანი გადაცილებით გვანწვდიან.

# თავი II. საპარლამენტო კონსტიტუციის განხორციელება – 2019 წლის საგარეო უსაფრთხოების სესია

## 2.1 მთავრობისათვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადება

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით შეიცვალა მთავრობისათვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების წესი, გამარტივდა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, რაც შესაბამისად აისახა რეგლამენტში.

### 2.1.1 მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება

საკონსტიტუციო ცვლილებების და ახალი რეგლამენტის თანახმად, გაუქმდა პრეზიდენტის როლი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენის პროცესში. პრეზიდენტის უფლებამოსილება პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადების შემდეგ პრემიერ-მინისტრის ფორმალური დანიშვნით შემოიფარგლება. მნიშვნელოვნად გამარტივდა ნდობის გამოცხადების პროცედურები და შეიკვეცა ვადები.

#### მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცედურა

პარლამენტს წარედგინება პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა

კანდიდატი წარადგენს სამთავრობო პროგრამას და მთავრობის შემადგენლობას

სამთავრობო პროგრამა და მთავრობის შემადგენლობა განიხილება კომიტეტებში და ფრაქციებში

კომიტეტები და ფრაქციები დასკვნებს წარუდგენენ ბიუროს

ბიუროს, ნდობის გამოცხადების საკითხი შეაქვს პლენარული სხდომის დღის წესრიგში

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, თუ მთავრობას მოეხსნება უფლებამოსილება ან პრემიერ-მინისტრი გადადგება (ან სხვაგვარად შეუწყდება უფლებამოსილება). აგრეთვე, ნდობის გამოცხადების პროცედურების საჭიროება დგება, თუ პრემიერ-მინისტრი პარლამენტის წინაშე დასვამს მთავრობის ნდობის საკითხს.

გემოთ აღწერილ არცერთ წინაპირობას, საანგარიშო პერიოდში, ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, პარლამენტში მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხიც არ დამდგარა.

## 2.1.2 მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება შემდგომი (ex-post) საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია. მისი მეშვეობით პარლამენტი ინარჩუნებს მთავრობის უმთავრესი ზედამხედველის როლს, ნდობის გამოცხადების შემდეგაც.

- უნდობლობის გამოცხადების საკითხს აღძრავს და, ამასთანავე, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს წარადგენს არანაკლებ 51 დეპუტატი;
- საკითხის აღძვრასთან ერთად, პარლამენტს წარედგინება ინიციატორების მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა.
- საკითხის აღძვრიდან, არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა, თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება.

საანგარიშო პერიოდში, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება ან უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმა არ მომხდარა.

## 2.2 პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება

საქართველოს კონსტიტუციაში, 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვალდებულებად განისაზღვრა, წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ.<sup>3</sup>

საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, პარლამენტის რეგლამენტში გაიწერა პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების წესი. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში, პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენება, წერილობითი ფორმით, მან პარლამენტს 1 ივნისამდე უნდა წარუდგინოს. მოხსენების შემდეგ განხილვა გრძელდება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის პროცედურის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრს ძველი რეგლამენტიდან<sup>4</sup> ჰქონდა წელიწადში ერთხელ სამთავრობო პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება,<sup>5</sup> თუმცა რეგლამენტიდან ბუნდოვანი იყო, თუ რამდენად სავალდებულო იყო წერილობითთან ერთად, ანგარიშის ბეპირი ფორმით წარდგენა.<sup>6</sup>

3 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 55.5

4 აქ და შემდგომაც, „ძველ რეგლამენტში“ იგულისხმება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, [matsne.ge](http://matsne.ge), 03/07/2012, 6533-ის, (ძალადაკარგულია 2018 წელს ახალი რეგლამენტის ძალაში შესვლით).

5 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2018 წლის 6 დეკემბრის რედაქცია, 205-ე მუხლი.

6 იქვე მე-3 პუნქტი, რომლის ფორმულირებაც ქმნიდა ორაზროვანი განმარტების საშუალებას.

2019 წლის 31 მაისს პრემიერ-მინისტრმა წერილობით წარადგინა მთავრობის მოხსენება: „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ – 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.<sup>7</sup> პრემიერ-მინისტრის მიერ ანგარიშის ზეპირად წარდგენა 27 ივნისს იყო დაგეგმილი,<sup>8</sup> თუმცა, იმავე დღეს, პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ Facebook-ის მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია, მისი გამოსვლის გადადების შესახებ.<sup>9</sup> გადადების მიზეზი პარლამენტის წინ საპროტესტო გამოსვლები იყო. მოგვიანებით, პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის მოხსენებისთვის ახალი თარიღის განსაზღვრის მიზნით, კონსულტაციები გაიმართებოდა,<sup>10</sup> თუმცა ბახტაძემ ისე დატოვა თანამდებობა, რომ პარლამენტის წინაშე მოხსენებით არ წარმდგარა.

## 2.3 პრემიერ-მინისტრის ნიგბაჩაშვი ანგარიში

პარლამენტს უფლება აქვს, პრემიერ-მინისტრს მოსთხოვოს ანგარიშის წარდგენა სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. განსხვავებით ყოველწლიური ანგარიშისა, ასეთი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება პრემიერ-მინისტრს მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში აქვს.

რიგგარეშე ანგარიშის წარდგენის ინიცირების უფლება ფრაქციას ან კომიტეტს აქვს, ხოლო გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით მიიღება, თუმცა არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. რიგგარეშე ანგარიში უნდა ეხებოდეს სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობას.

---

7 „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, <https://info.parliament.ge/#law-drafting/18252>

8 „მიმდინარე კვირაში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია წარდგებიან“, [parliament.ge](https://parliament.ge), 24 ივნისი 2019, <https://bit.ly/386NcjB>

9 „ბახტაძე: პარლამენტში ჩვენს პროგრამაზე საუბარი საზოგადოებრივ ინტერესთან შეუსაბამო იქნებოდა“, [tabula.ge](https://tabula.ge), 27 ივნისი 2019, <https://bit.ly/2sDUyL8>

10 იქვე.



## პრემიერ-მინისტრის ჩიგბაჩაუ ანგარიში

ანგარიშის მოთხოვნის უფლება აქვს პლენარულ ხდომამზე დამსწრეთა უმრავლესობას. მაგრამ არანაკლებ 50 დეპუტატს

მოთხოვნიდან, არაუმეტეს ორი კვირისა პრემიერ-მინისტრი წერილობით ანგარიშს წარუდგენს პარლამენტს

პრემიერ-მინისტრი არაუმეტეს სამ კვირაში, თავად წარსდგება პარლამენტის წინაშე ამავე ანგარიშით

განხილვის შემდეგ, შეიძლება მიღებული იქნეს დადგენილება

საანგარიშო პერიოდში, პარლამენტს არ მოუთხოვია ანგარიშის წარდგენა პრემიერ-მინისტრისგან სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პარლამენტს ეს შესაძლებლობა კანონმდებლობაში მისი არსებობის განმავლობაში არასდროს გამოუყენებია.<sup>11</sup> ოპოზიციის წარმომადგენელმა - ხათუნა გოგორიშვილმა კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ამ მექანიზმის გამოყენებას არ ცდილობს ოპოზიცია, რადგან პრემიერ მინისტრისთვის ანგარიშის წარდგენის გადაწყვეტილება მიიღება პლენარულ სხდომამზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, ხოლო ოპოზიცია ამდენ ხმას ვერ მოაგროვებს.

## 2.4 პარლამენტის წევრის კითხვა

პარლამენტის წევრის კითხვა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე ხშირად გამოიყენება. მისი შინაარსი ახალი რეგლამენტით, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა და გულისხმობს დეპუტატის უფლებამოსილებას, კითხვით მიმართოს მთავრობას, მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს,<sup>12</sup> ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს თუ სახელმწიფო დაწესებულებას.

11 მენაბდე et al. „ოცი წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე“, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2018, გვ. 51.

12 მარეგულირებელ კომისიებს, სახელმწიფო ინსპექტორს, გენერალურ პროკურორს, საპენსიო სააგენტოს და სხვა ორგანოებს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ან სხვა საკანონმდებლო აქტის შესაბამისად, პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ან რომლის პარლამენტის წინაშე სხვა სახით ანგარიშვალდებულებას უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი.

## პარლამენტის წევრის კითხვის პირობა



პარლამენტის წევრს უფლება აქვს  
კითხვა დასვას



პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ  
ორგანოს, საქართველოს მთავრობას,  
მთავრობის წევრს, ყველა დონის  
ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი  
ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელს,  
სახელმწიფო დაწესებულებას.




### მხოლოდ წერილობითი ფორმით

თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია, პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. შესაბამის თანამდებობის პირს, კითხვის ავტორთან შეთანხმებით, კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს 10 დღით.


საანგარიშო პერიოდში, პარლამენტის 36-მა წევრმა სულ 464 წერილობითი კითხვა გააგზავნა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დეპუტატებმა, სრული წლის განმავლობაში 482 კითხვა დასვეს. მიუხედავად იმისა, რომ ახალ რეგლამენტს პარლამენტის წევრის კითხვასთან დაკავშირებული რეგულაციები არ შეუცვლია, როგორც ჩანს, კონტროლის სხვა მექანიზმების ცვლილებებმა სადეპუტატო კითხვების უფრო აქტიურ გამოყენებასაც შეუწყო ხელი.

## დიზიგნაჲა N 1. პარლაჲენტის წევრის დარეგისტრირებაჲი კითხვების რაოდენობა



საანგარიშო პერიოდში, დარეგისტრირებულ 464 კითხვიდან, პასუხი 416-ს გაეცა, 48 კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

## დიზიგნაჲა N 2. პარლაჲენტის წევრის კითხვებზე გაყეჲული პასუხები



416 გაცემული პასუხიდან, 68 კითხვას პასუხი გაეცა 11 დღის დარეგისტრირებით, ხოლო 51 კითხვაზე პასუხი 11 დღეზე მეტი ხნით დარეგისტრირდა .

### ღიაზიარა N3. მიჯნული პასუხების ვარჯიში

ვარჯიში გაცა პასუხი		249
11 დღემდე დავგვიანებით		68
11 დღეზე მეტი დავგვიანებით		51
პასუხი არ იყო წარდგენილი		48

საანგარიშო პერიოდში, ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვა (184) სერგი კაპანაძემ გააგზავნა, 85 კითხვა გააგზავნა ირაკლი აბუსერიძემ, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილმა – 43.

#### ცხრილი N1. 10 ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვის ავტორი პარლამენტის წევრი

კაპანაძე სერგი	184
აბუსერიძე ირაკლი	85
ჭიაბერაშვილი ზურაბ	43
კუჭავა კახაბერ	17
გოგორიშვილი ხათუნა	16
წილოსანი ნინო	14
რატიანი სერგო	11
მელია ნიკანორი	9
ყაველაშვილი მიხეილ	9
აბესაძე ირაკლი	6
კანდელაკი გიორგი	6

ცხრილი N2-ში წარმოდგენილია ის თანამდებობის პირები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირად ხდებოდნენ პარლამენტის წევრის კითხვების ადრესატები.

**ცხრილი N2. ვის დაუსვენს ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვა**

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი	26
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი	26
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო	18
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია	12
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი	11
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი	9
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია	9
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი	8
საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი	7
ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გივი მოდებაძე	6
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე	5

მე-4 დიაგრამაში ჩამოთვლილია ის უწყებები, რომლებმაც ყველაზე მეტი კითხვა დატოვეს უპასუხოდ,<sup>13</sup> რითაც დაარღვიეს რეგლამენტის მოთხოვნები.

13 მონაცემები აღებულია 2019 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით.



## დიაგრამა 4. უწყებები, რომლებმაც საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი კითხვა დასოვეს უპასუხოდ

ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი

12

საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი

5

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია

2

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი

2

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია

2

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი

2

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი

2

სადეპუტატო კითხვაზე პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, სპეციალური სანქციის ან რეაგირების მექანიზმი პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული არ არის, მიიჩნევა, რომ პასუხის გაუცემლობის პრევენციის არაპირდაპირი ბერკეტია სადეპუტატო კითხვების, მასზე გაცემული, დაგვიანებული თუ გაუცემელი პასუხების გასაჯაროება. საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე, 2016 წლიდან სწორედ ასეთი სისტემა მოქმედებს.<sup>14</sup> სისტემა საზოგადოების ინფორმირების კარგი საშუალებაა და საპარლამენტო ზედამხედველობის ამ ინსტრუმენტზე საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას ქმნის. პარლამენტის რეგლამენტში არ გვხვდება სხვა სახის მექანიზმი, რომლითაც მოხდება დაგვიანებული და პასუხგაუცემელი კითხვების სისტემატიური განხილვა და რეაგირება. გიორგი კახიანმა (რომელიც საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა) ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კომიტეტმა თავისი ინიციატივით დაამუშავა ინფორმაცია სადეპუტატო კითხვებზე რეაგირების შესახებ და აპირებდა ამ საკითხზე სხდომის გამართვას, თუმცა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, ვერ მოხერხდა სხდომის ჩატარება.

მეორე მხრივ, პრობლემაა, რომ სადეპუტატო კითხვების აღრიცხვის ეს სისტემა მხოლოდ ფორმალური კონტროლის საშუალებას იძლევა და არ ხდება მისი შინაარსობრივი ანალიზი. მაგალითად, ხათუნა გოგორიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ საუბარში განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშვალდებული პირი დეპუტატის კითხვაზე პასუხის გასაცემად წერილობით ითხოვს დამატებით 10 დღიან ვადას, პარლამენტის ვებ-გვერდზე არსებულ სისტემა ვადის გაგრძელების წერილს კითხვაზე გაცემულ პასუხად მიიჩნევს, რაც რეალობას არ შეესაბამება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი კახიანმა “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსთან” საუბარში განაცხადა, რომ რეგლამენტი არ ითვალისწინებს, თუ რა ფორმით


14 იხ. ბმული: <https://info.parliament.ge/#mpqs>

უნდა მოხდეს დამატებით - ათ დღიან ვადაზე შეთანხმება და, უმჯობესია, კანონი კონკრეტულ ვადას ითვალისწინებდეს, გაგრძელების შესაძლებლობის გარეშე.

## 2.5 ინტერპელაცია

ტერმინი „ინტერპელაცია“, 2018 წლის 16 დეკემბერს ამოქმედებული საკონსტიტუციო ცვლილებებით დამკვიდრდა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.<sup>15</sup> პარლამენტის არანაკლებ შვიდ წევრს, ან ფრაქციას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. შეკითხვა უნდა იყოს წერილობითი. შეკითხვის შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული და შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებულ საკითხს. ადრესატი ვალდებულია შეკითხვას პირადად უპასუხოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რის შემდეგაც იმართება დებატები.

რეგლამენტი განსაზღვრავს ინტერპელაციის პერიოდულობასაც: შეკითხვის ადრესატი პარლამენტში წარდგება ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში ორჯერ (საგაზაფხულო სესიის - მარტისა და მაისის, და საშემოდგომო სესიის - სექტემბრისა და ნოემბრის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს).



15 ძველი რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრთა შეკითხვა გულისხმობდა პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფის ან ფრაქციის უფლებას, შეკითხვით მიემართათ ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის, მთავრობის ცალკეულ წევრისთვის. შეკითხვას პასუხი სამთავრობო საათზე გაეცემოდა, თუმცა, ინტერპელაციის პროცედურისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებდა დებატებს.

შეკითხვების რაოდენობის გათვალისწინებით, პარლამენტის ბიურო პროპორციულად ამცირებს პროცედურით გათვალისწინებულ დროებს, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ყველა შეკითხვაზე რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლა.

ადრესატის დასკვნითი გამოსვლის დასრულების შემდეგ, პარლამენტი უფლებამოსილია, მიიღოს დადგენილება. ამავე დროს, შესაძლოა, ინტერპელაციას შედეგად სხვადასხვა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოჰყვეს, ან მთავრობის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება.

2012 წლიდან, პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს ანგარიშვალდებული ორგანოსთვის შეკითხვით არ მიუმართავს და, შესაბამისად, არ გამართულა სამთავრობო საათი.<sup>16</sup> ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ერთხელ გამოიყენა შეკითხვის დასმის უფლებამოსილება, თუმცა სამთავრობო საათი არ გამართულა.<sup>17</sup>

საანგარიშო პერიოდში, ინტერპელაციის წესით, ანგარიშვალდებულ ორგანოებთან სულ 20 შეკითხვა გაიგზავნა.<sup>18</sup>

**დიაგრამა 5. ინტერპელაციის წესით წარდგენილი შეკითხვების ოდენობა ფრაქციების მიხედვით**

„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	10
„ევროპული საქართველო“	3
„ევროპილი საქართველო - რეგიონები“	3
„ქართული ოცნება“	2
„ნაციონალური მოძრაობა“	2

16 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 62. <https://bit.ly/2LCA247>

17 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს პარლამენტის 2018 წლის საქმიანობის შეფასება, თბილისი 2019, გვ. 50. <https://bit.ly/2t5Vj01>

18 ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, თუმცა შემდეგ შეკითხვა უკან გაითხოვა.

**ცხრილი 3. ინტერპელაციის წესით გაგზავნილი შეკითხვები თარიღის, ინიციატორი ფრაქციის, ადრესატის და შეკითხვის ოდენობის მიხედვით**

თარიღი	ფრაქცია	ადრესატი	შეკითხვების რაოდენობა
25.01.2019 <sup>19</sup>	„ნაციონალური მოძრაობა“	პრემიერ-მინისტრი	1
5.02.2019 <sup>20</sup>	„ევროპული საქართველო“	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	3
5.02.2019 <sup>21</sup>	„ევროპული საქართველო - რეგიონები“	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	3
14.03.2019 <sup>22</sup>	„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	პრემიერ-მინისტრი	6
14.05.2019 <sup>23</sup>	„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	პრემიერ-მინისტრი	4
16.05.2019 <sup>24</sup>	„ნაციონალური მოძრაობა“	ცესკო-ს თავმჯდომარე	1
17.05.2019 <sup>25</sup>	„ქართული ოცნება“	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2

საანგარიშო პერიოდში, ინტერპელაციის ადრესატები ორჯერ წარდგინენ პარლამენტის წინაშე - 22 მარტს და 31 მაისს. ამავე დღეს, წარადგინეს დასმულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხები.

19 იხ. ბმულზე ფრაქციის შეკითხვა და ადრესატის პასუხი: <https://bit.ly/2Yz1FRb>

20 იხ. ბმულზე ფრაქციის შეკითხვა და ადრესატის პასუხი: <https://bit.ly/2rC0apd>

21 იხ. ბმულზე ფრაქციის შეკითხვა და ადრესატის პასუხი: <https://bit.ly/2qB0kMW>

22 იხ. ბმულზე ფრაქციის შეკითხვა და ადრესატის პასუხი: <https://bit.ly/38A5tWW>

23 იხ. ბმულზე ფრაქციის შეკითხვა და ადრესატის პასუხი: <https://bit.ly/2E2vO1G>

24 იხ. ბმულზე - ფრაქციის შეკითხვა და ადრესატის პასუხი: <https://bit.ly/2TbOHYE>

25 იხ. ბმულზე - ფრაქციის შეკითხვა და ადრესატის პასუხი: <https://bit.ly/2E3XK5h>

**ცხრილი 4. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ინტერპელაციები**

თარიღი	ადრესატი	საკითხი	შედეგი
22.03	პრემიერ-მინისტრი	კრიმინოგენული მდგომარეობა ქვეყანაში <sup>26</sup>	არ მომხდარა დადგენილების მიღება
22.03	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი	1. სკოლის პედაგოგების ხელფასები 2. სკოლის ავტონომია 3. მოსწავლის ვაუჩერები <sup>27</sup> 4. გამოსაშვები გამოცდების გაუქმება 5. ზოგადი უნარ-ჩვევების არჩევით გამოცდად გარდაქმნა 6. სასწავლო გრანტის განაწილების წესი. <sup>28</sup>	არ მომხდარა დადგენილების მიღება
31.05	პრემიერ-მინისტრი	1-3. დაგროვებითი პენსია 4. საბანკო რეგულაციები 5. „ოთხოზორია - ტატუნაშვილის“ სიის დაბუსტება 6. თიბისი ბანკზე შეტევა <sup>29</sup> 7-10. საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების მიზნით დახარჯული თანხა <sup>30</sup>	არ მომხდარა დადგენილების მიღება
31.05	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	1. სოციალური დახმარების განაწილების პრინციპი 2. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების კონტროლი <sup>31</sup>	არ მომხდარა დადგენილების მიღება
31.05	ცესკოს თავმჯდომარე	საარჩევნო კამპანიის დროს მომხდარი დარღვევები <sup>32</sup>	არ მომხდარა დადგენილების მიღება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგლამენტი, რამდენიმე შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს პროცედურით გამოყოფილი დროის შეკითხვის რაოდენობის პროპორციულად შემცირებას. საანგარიშო პერიოდში, ინტერპელაციის გამოყენების პრაქტიკამ აჩვენა, რომ რეგლამენტის ეს ჩანაწერი იმგვარად ამცირებს პროცედურით გათვალისწინებულ დროს, რომ

26 იხ. ცხრილი 3, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ 25 იანვრის შეკითხვა.

27 იქვე, „ევროპული საქართველოს“ 5 თებერვლის შეკითხვა.

28 იქვე, „ევროპული საქართველო - რეგიონების“ 5 თებერვლის შეკითხვა.

29 იქვე, ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 14 მარტის წერილი.

30 იქვე, ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 14 მაისის შეკითხვა.

31 იქვე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ 17 მაისის შეკითხვა.

32 იქვე, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ 16 მაისის შეკითხვა.



ინტერპელაციის სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობას ეჭვქვეშ აყენებს. კერძოდ, 22 მარტის ინტერპელაციისას, პროცედურით გათვალისწინებული დრო სამჯერ შემცირდა, ხოლო 31 მაისის ინტერპელაციისას - 4-ჯერ.<sup>33</sup> ინტერპელაციისთვის გამოყოფილი დროის შეკითხვების პროპორციულად შემცირების პრაქტიკა ქმნის საფრთხეს, რომ პროცედურის პარალიზების მიზნით, ხელოვნურად გაიზარდოს შეკითხვების რაოდენობა, რაც მომავალში მის გამოყენებას აზრს დაუკარგავს.<sup>34</sup>

გემოთ აღწერილ პრობლემას რეგლამენტის ნორმების არასწორი განმარტება იწვევს. პარლამენტმა, ამ შემთხვევაში, ინტერპელაციისთვის 149-ე მუხლის მე-8 - მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული ერთი პროცედურა (რაც ჯამში დაახლოებით 3,5 საათია) შეამცირა შეკითხვების პროპორციულად - მარტის ინტერპელაციის დროს 3-ჯერ, ხოლო მაისში - 4-ჯერ. მაშინ, როდესაც რეგლამენტი იძლეოდა საშუალებას, ერთი 3,5 საათიანი პროცედურის დაყოფის ნაცვლად, ინტერპელაციისთვის გამოყოფილი მთელი დღე დაყოფილიყო.<sup>35</sup> დამკვიდრებულ პრაქტიკას და ნორმის ამგვარ განმარტებას აკრიტიკებს რეგლამენტის კანონპროექტის ავტორი თამარ ჩუგოშვილი, ასევე პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი კახიანი.<sup>36</sup>

ნორმის სწორი განმარტება არსებითად გააუმჯობესებს ინტერპელაციის არსებულ პრაქტიკას, თუმცა, პრობლემა ისევ შეიქმნება, თუ ინტერპელაციის შეკითხვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

## 2.6 მინისტრის საათი

მინისტრის საათი ახალი რეგლამენტის მიერ დანერგილი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია, მისი ანალოგი ძველ რეგლამენტში არ არსებობდა. მინისტრის საათი გულისხმობს, მთავრობის წევრების მიერ პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას. თითოეული მინისტრი (პრემიერ-მინისტრის გარდა) წელიწადში ერთხელ გამოდის პლენარულ სხდომაზე, მინისტრის საათის ფარგლებში, და სამთავრობო პროგრამის შესრულების საკუთარი მიმართულების შესახებ საუბრობს.

33 კერძოდ, პირველი ინტერპელაციის შემთხვევაში, წუთები შემდეგნაირად განისაზღვრა: შეკითხვის ავტორს 10 წუთის მაგივრად მიეცა 3.5 წუთი; პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა 10 წუთი, 30 წუთის ნაცვლად; დამაზუსტებელი შეკითხვისთვის ინტერპელაციის ავტორს 1 წუთი ჰქონდა, 3 წუთის ნაცვლად; დამოუკიდებელ დეპუტატებს - 2 წუთი, 5 წუთის ნაცვლად; უმრავლესობისა და უმცირესობის მიღმა დარჩენილ ფრაქციებს - 5 წუთი 15-ის ნაცვლად, უმრავლესობას კი - 15 წუთი, 45-ის ნაცვლად. დასკვნითი სიტყვა 7 წუთი გაგრძელდა, 20 წუთის ნაცვლად. მეორე ინტერპელაციის შემთხვევაში, შეკითხვის ავტორს გამოეყო 2.5 წუთი, შეკითხვის ადრესატს პასუხისთვის - 7.5 წუთი, შეკითხვის ავტორს დაზუსტებისთვის - 1 წუთი, ადრესატს პასუხისთვის - 2.5 წუთი, პარლამენტის დამოუკიდებელ წევრს - 1.5 წუთი, უმრავლესობის მიღმა მყოფ ფრაქციებს - 4-4 წუთი, უმრავლესობას - 11.5 წუთი, დასკვნითი სიტყვა კი მხოლოდ 5 წუთი გაგრძელდა. სრულად იხილეთ: „ინტერპელაცია ქართულ კონტექსტში: მოლოდინები და იმედგაცრუებები“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, <https://bit.ly/2uA3IPI>

34 იქვე.

35 რეგლამენტის ამგვარად განმარტების ლოგიკას ამყარებს 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის პლენარული სხდომის ხანგრძლივობა ინტერპელაციის შემთხვევაში შეზღუდული არაა და ის შეიძლება გაგრძელდეს საკითხის ამოწურვამდე.

36 მათ ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ინტერვიუში ისაუბრეს.

## მინისტრის საათის პროცედურები

ბიურო ადგენს მინისტრების პლენარულ სხდომაზე გამოცხადების განრიგს

მინისტრი განრიგის მიხედვით ცხადდება პარლამენტში

მინისტრი წარმოადგენს მოხსენებას 45 წუთი

პარლამენტი განიხილავს მოხსენებას, კანონპროექტის პირველი მოსმენის განხილვისთვის დადგენილი წესით

მინისტრების პარლამენტის წინაშე წარდგომის განრიგს ადგენს ბიურო, იმგვარად, რომ პლენარული სხდომების ყოველ 2 კვირაში ერთხელ, ერთი მინისტრის საათი მაინც გაიმართოს. მინისტრის მოხსენებას პარლამენტი განიხილავს, კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესით.

პარლამენტის ბიურომ 2019 წლის 4 თებერვალს დაადგინა 2019 წელს მინისტრის საათზე მთავრობის წევრთა გამოცხადების განრიგი,<sup>37</sup> რომელიც საანგარიშო პერიოდში ორჯერ შეიცვალა.<sup>38</sup>

განრიგის შეცვლის პრაქტიკა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ინტერვიუში გააკრიტიკა პარლამენტის წევრმა ხათუნა გოგორიშვილმა. ის მიიჩნევს, რომ მინისტრის საათის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე არ უნდა იყოს შესაძლებელი, განრიგით გათვალისწინებული მინისტრის სხვა მინისტრით ჩანაცვლება, რადგან ეს ართმევს შესაძლებლობას პარლამენტის წევრებს, რომ სათანადოდ მოემზადონ მინისტრის საათისათვის.

37 საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2019 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N233/11, <http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/109797/1489>

38 იხ. ბმულზე საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2019 წლის 4 თებერვლის N233/11 გადაწყვეტილებაში შეტანილი ყველა ცვლილება: <https://bit.ly/2sdXloX>

## ცხრილი 5. საანგარიშო პერიოდში გამართული მინისტრის საათები

პერიოდი	ანგარიშვალდებული პირი/ორგანო
20.02.2019	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
07.03.2019	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
20.03.2019 - 21.03.2019	იუსტიციის მინისტრი
04.04.2019	თავდაცვის მინისტრი
02.05.2019	შინაგან საქმეთა მინისტრი

მინისტრის საათის განმავლობაში, მინისტრები აკეთებენ მოხსენებას, თავიანთ სფეროში მთავრობის პროგრამის შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც რეალურად გულისხმობს მოხსენებას სამინისტროს მიღწევებთან დაკავშირებით. თუმცა, საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად იმისა, რომ პროცედურის მნიშვნელოვანი ნაწილი მინისტრის მოხსენებას ეთმობა, დეპუტატები, კითხვების ნაწილში, ეხებიან საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს, არ იფარგლებიან მოხსენების შინაარსით და მთავრობის წევრს თავისი სფეროს ირგვლივ შეზღუდვის გარეშე უსვამენ კითხვას. კერძოდ:

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, მაია ცქიტიშვილს, 54-მა დეპუტატმა ჯამში 93 კითხვა დაუსვა.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს, 42-მა პარლამენტის წევრმა ჯამში 80 კითხვა დაუსვა.
- იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს, 41-მა პარლამენტის წევრმა ჯამში 69 კითხვა დაუსვა.
- თავდაცვის მინისტრს, ლევან იზორიას, 38-მა პარლამენტის წევრმა ჯამში 76 კითხვა დაუსვა.
- შინაგან საქმეთა მინისტრს, გიორგი გახარიას 43-მა პარლამენტის წევრმა, ჯამში 57 კითხვა დაუსვა.

დასმულ კითხვებს მინისტრები პროცედურის ბოლო ნაწილში პასუხობენ.<sup>39</sup>

მინისტრის საათის პროცედურებთან დაკავშირებით, კიდევ ერთი პრობლემის შესახებ ისაუბრა ხათუნა გოგორიშვილმა. მისი განცხადებით, მინისტრის საათის წინ, მინისტრები პარლამენტს არ წარუდგენენ წერილობით ანგარიშს, რათა შესაძლებელი იყოს მასში მოყვანილი ინფორმაციის წინასწარ გაცნობა. წერილობითი ანგარიში პლენარულ სხდომაზე რიგდება, მოხსენების დაწყების შემდეგ.<sup>40</sup>

39 იხ. მინისტრის საათის ვიდეოჩანაწერები პარლამენტის ფეისბუქ გვერდზე: <https://www.facebook.com/pg/parliamentgeo/videos/>

40 ხათუნა გოგორიშვილის თქმით, გამონაკლისი იყო მაია ცქიტიშვილის მინისტრის საათი, როდესაც წერილობითი ანგარიშები დეპუტატებს გამოსვლის დაწყებამდე ერთი საათით ადრე დაურიგდათ.

## 2.7 პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა

მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განუვლი საქმიანობის ანგარიში.

### პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა



#### პლენარულ სხდომაზე მოსმენა

- სავალდებულო წესით მოწვევა ( $\frac{1}{3}$ -ის მოთხოვნით)
- საკუთარი ინიციატივით

#### კომიტეტის სხდომაზე მოსმენა


- სავალდებულო წესით
  - ფრაქციის ინიციატივით
  - კომიტეტის ინიციატივით
- საკუთარი ინიციატივით

### 2.7.1 პენალურ სხდომაზე მიწვევა

კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით (მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის  $\frac{1}{3}$ -ისა), პარლამენტი პლენარულ სხდომაზე იწვევს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს. მოწვევის შემთხვევაში, ისინი ვალდებული არიან, გამოცხადდნენ პლენარულ სხდომაზე, პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინონ განუვლი საქმიანობის ანგარიში.<sup>41</sup>

41 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 152-ე მუხლის 1 პუნქტი.

## პლენარულ სხდომაზე გამოსვლის პროცედურები



2012 წლიდან, პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის მონვევის მექანიზმი პარლამენტში არ გამოუყენებიათ.<sup>42</sup> მიუხედავად იმისა, რომ ახალი რეგლამენტით თანამდებობის პირის მოხსენებას დაემატა სავალდებულო დებატების კომპონენტი, საანგარიშო პერიოდში ფრაქციებს არ უცდიათ ამ შესაძლებლობის გამოყენება. ხათუნა გოგორიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად მაღალი კვორუმი დაწესებული, რის გამოც ოპოზიცია არ ცდილობს მის გამოყენებას. აქვე აღსანიშნავია, რომ ძველი რეგლამენტით უფრო დაბალი კვორუმი იყო (30 დეპუტატი), თუმცა მაშინაც არ ხდებოდა საპარლამენტო კონტროლის ამ ინსტრუმენტის გამოყენება.

### 2.7.2 თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე მოსმენა, მათი ინიციატივით

მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს და სახალხო დამცველს, პარლამენტის რეგლამენტი ანიჭებს უფლებას, საკუთარი ინიციატივით წარდგინდეს პლენარული სხდომის წინაშე.<sup>43</sup> თანამდებობის პირს, გამოსვლისთვის, 20 წუთი აქვს, რომელიც, არაუმეტეს, 10 წუთით შეიძლება გაიზარდოს. მიმართვის დასრულების შემდეგ, მისი გამოსვლა განიხილება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

42 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება საქართველოში, 13 თებერვალი 2018, გვ. 42

43 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 154-ე მუხლის 1 პუნქტი.

ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის, საკუთარი ინიციატივით პლენარულ სხდომაზე გამოსვლა, არ უხსნის მას პარლამენტის წინაშე სხვა ფორმატით წარდგომის ვალდებულებას. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში, ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკომიტეტო მოსმენაზე სავალდებულო წესით მიიწვია რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მაია ცქიტიშვილი. ის არ გამოცხადდა კომიტეტის სხდომაზე, ხოლო კომიტეტმა, ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციაში მიუთითა, რომ პლენარულ სხდომაზე გაიმართა მაია ცქიტიშვილის მოსმენა, ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით, სადაც ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს აგრეთვე ჰქონდათ შესაძლებლობა, დაესვათ კითხვები და მიეღოთ პასუხები.

ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, შსს მინისტრის - გიორგი გახარია და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის - კობა გვენეტაძის შემთხვევაშიც, ისინი, პლენარულ სხდომაზე გამოსვლის საფუძვლით, არ გამოცხადდნენ კომიტეტის სხდომაზე, სადაც სავალდებულო წესით იყვნენ მიწვეულები.<sup>44</sup>

სულ, საანგარიშო პერიოდში, საკუთარი ინიციატივით, პარლამენტის წინაშე ხუთი თანამდებობის პირი წარდგა.

<b>ცხრილი 6. თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომლებიც საკუთარი ინიციატივით წარდგნენ პლენარული პარლამენტის პლენარული სხდომის წინაშე</b>	
<b>თარიღი</b>	<b>თანამდებობის პირი</b>
21.12.2018	შინაგან საქმეთა მინისტრი - გიორგი გახარია
7.02.2019 - 8.02.2019	განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრი - მიხეილ ბათიაშვილი
21.03.2019	რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი - მაია ცქიტიშვილი
5.04.2019 - 8.04.2019	ეროვნული ბანკის პრეზიდენტი - კობა გვენეტაძე
19.04.2019	სახალხო დამცველი - ნინო ლომჯარია

რეგლამენტის თანახმად, თანამდებობის პირი ვალდებულია, პარლამენტისადმი მიმართვამდე, არაუგვიანეს სამი დღისა, პარლამენტის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგინოს ის საკითხები, რომლებზედაც მას სურს პარლამენტისადმი მიმართვა. რეგლამენტი, თანამდებობის პირს, გარდა გამოსვლის ლიმიტირებული ხანგრძლივობისა, სხვა სახის შეზღუდვებს არ უწესებს, ამიტომ გამომსვლელი თავისუფალია საკითხის არჩევანში. საანგარიშო პერიოდში, თანამდებობის პირები, საკუთარი ინიციატივით, შემდეგი საკითხებით წარდგნენ პარლამენტის წინაშე:

- შინაგან საქმეთა მინისტრმა **გიორგი გახარიამ**, პლენარული სხდომის წინაშე წარდგომის განზრახვა, პარლამენტის თავმჯდომარისადმი 18 დეკემბერს გაგზავნილ წერილში, ზოგადი საფუძვლით ახსნა: ის აცხადებდა მზადყოფნას, პარლამენტისთვის წარედგინა სამინისტროს მუშაობის ანგარიში და, კომპეტენციის ფარგლებში, ესაუბრა დეპუტატების მიერ, სამინისტროს წინაშე დასმულ შეკითხვებზე. მართლაც, პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას, მინისტრი კონკრეტული თემით არ შემოფარგლულა და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, მრავალ საკითხს შეეხო. პარლამენტის წევრთა კითხვებიც, რომელიც დაახლოებით ორი საათის განმავლობაში გაგრძელდა, შეეხებოდა სამინისტროს საქმიანობის სხვადასხვა

44 ამ შემთხვევებზე უფრო დეტალურად იხილეთ თავი 2.8.3.



მიმართულებას.<sup>45</sup> შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ შსს მინისტრის და პარლამენტის ამ ფორმატით ურთიერთობა, ძალიან ახლოს იდგა მინისტრის საათის ჩატარების დამკვიდრებულ პრაქტიკასთან: გახარია მზად იყო ანგარიში ჩააბარა პარლამენტს, ხოლო პარლამენტის წევრებმა დაუსვეს კითხვები, რომელიც არ იყო შემოფარგლული მოხსენების თემატიკით.

- განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრმა - **მიხეილ ბატიაშვილმა** 2019 წლის 15 იანვარს მიმართა პარლამენტს და მოითხოვა პარლამენტის წინაშე გამოსვლა, რა დროსაც, მზად იყო, რომ წარედგინა სამინისტროს ერთიანი ანგარიში და ეპასუხა დეპუტატთა კითხვებისთვის. შედეგად, როგორც მინისტრის გამოსვლა, ასევე პარლამენტის წევრთა შეკითხვებიც, არ იყო კონკრეტული თემატიკით შემოფარგლული.
- ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრმა - **მაია ცქიტიშვილმა** პარლამენტს კონკრეტული თემატიკის ირგვლივ სასაუბროდ მიმართა. პარლამენტისადმი მიწერილ 15 მარტის წერილში, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრი აღნიშნავს, რომ „ბოლო პერიოდში, ანაკლიის პორტის მშენებლობამ, განსაკუთრებული საჯარო ინტერესი გამოიწვია“ და, შესაბამისად, გამოთქვამს სურვილს, პარლამენტსა და საზოგადოებას მიანოდოს ინფორმაცია ამ აქტუალურ საკითხზე. პლენარულ სხდომაზეც, განხილვა და დეპუტატთა კითხვებიც მხოლოდ ამ საკითხს შეეხებოდა.<sup>46</sup>
- ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა - **კობა გვენეტაძემ** პარლამენტის წინაშე წარდგომის საფუძველად მიუთითა კომიტეტების მოთხოვნა: „ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ ინიციატივით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მოეთხოვა გამოცხადებულიყო საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, სს თიბისი ბანკთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ (N2627/4-3/19, 11-03-2019) და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე, 2019 წლის 1 იანვარს შემოღებული საცალო დაკრედიტების რეგულაციების შესახებ (N1682/4-6/19, 19-02-2019) სასაუბროდ. ამ უკანასკნელი საკითხის განხილვა გადაიდო 26 თებერვლის კომიტეტის სხდომაზე, რადგანაც ეროვნულ ბანკს სჭირდებოდა რეგულაციების მიმდინარეობის პრაქტიკაზე დაკვირვების, როგორც მინიმუმ, ერთი კვარტლის შედეგების ანალიზი, პირველადი დასკვნის გამოტანისათვის“.<sup>47</sup> ამ შემთხვევაში, გვენეტაძემ, პლენარული სხდომაზე წარდგომით, ჩაანაცვლა მისი კომიტეტის სხდომაზე მოწვევა, რაც პარლამენტის რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული.
- სახალხო დამცველმა - **ნინო ლომჯარიამ** პარლამენტს, პლენარულ სხდომაზე გამოსვლის მოთხოვნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა არჩევის პროცედურებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე სასაუბროდ მიმართა.<sup>48</sup> სახალხო დამცველის მოსმენა 19 აპრილს გაიმართა, 20 წუთიანი მოხსენების შემდეგ, კანონპროექტზე სახალხო დამცველის შეფასებებთან დაკავშირებული კითხვა-პასუხის რეჟიმი ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.<sup>49</sup>

45 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ვიცე-პრემიერის ბატონ გიორგი გახარიას 2018 წლის 18 დეკემბრის მომართვა, <https://info.parliament.ge/#law-drafting/16966>

46 საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ვიცე-პრემიერის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მაია ცქიტიშვილის მოსმენა ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის განხორციელების საკითხზე, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17603>

47 საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის - კობა გვენეტაძის მოსმენა, სს თიბისი ბანკთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და 2019 წლის 1 იანვარს შემოღებულ საცალო დაკრედიტების რეგულაციების შესახებ, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17744>

48 კერძოდ, კანონპროექტის შეფასება, არსებითი ხარვეზები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დასკვნების შეფასება და არსებული კონტექსტი, სახალხო დამცველის წერილი (N 02-1/4220 15/04/2019) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/218720?>

49 საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს სახალხო დამცველის - ნინო ლომჯარიას მოსმენა

### 2.7.3 თანამდებობის პირის მონვევა კომიტეტის სხდომაზე

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი<sup>50</sup> უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია, დაესწროს კომიტეტის სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განუვლი საქმიანობის ანგარიში.<sup>51</sup>

კომიტეტზე, თანამდებობის პირის მონვევის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს განსახილველი საკითხის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. მონვეულ პირს შეუძლია, უარი თქვას სხვა საკითხებზე საუბარზე.<sup>52</sup>

#### თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე მონვევის წესი



თანამდებობის პირის მონვევის ზოგადი წესი

- ფრაქციის მოთხოვნით
- კომიტეტის სხდომის დამსწრეთა უმრავლესობით\*

კომიტეტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით მონვევა

- პრემიერ-მინისტრი
- გენერალური პროკურორი
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

*\*თუ თანამდებობის პირი, ორი თვის განმავლობაში, უკვე იმყოფებოდა ამ კომიტეტზე, მაშინ მისი სავალდებულო წესით მონვევა მხოლოდ ამ წესით შეიძლება*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა არჩევის პროცედურებთან დაკავშირებული კანონპროექტის შესახებ, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17834>

50 თანამდებობის პირში იგულისხმება: მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი ან თანამდებობის პირი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ან სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად, პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ან რომლის სხვა სახის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი, აგრეთვე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი და საქართველოს სახალხო დამცველი - პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის 1 ნაწილი.


51 ძველი რეგლამენტით, კომიტეტის სხდომაზე შესაბამისი თანამდებობის პირის დაბარება შესაძლებელი იყო მხოლოდ კომიტეტის გადაწყვეტილებით, ხოლო ფრაქციას შეეძლო თანამდებობის პირი ფრაქციის სხდომაზე მოეწვია.

52 იქვე, მე-5 პუნქტი.

კომიტეტის სხდომაზე განხილვის ფორმატი გულისხმობს მონვეული პირის მოსმენას 20 წუთის განმავლობაში (არაუმეტეს 10 წუთით გაგრძელების შესაძლებლობით), ამის შემდეგ, პარლამენტის წევრები მას 30 წუთის განმავლობაში მიმართავენ შეკითხვებით. რეგლამენტის თანახმად, გამოყოფილი დრო სამართლიანად უნდა განაწილდეს უმცირესობის, უმრავლესობის და მათ გარეთ დარჩენილ ფრაქციებსა და პარლამენტის წევრებს შორის.

სალომესამადაშვილმა დახატუნა გოგორიშვილმა გამოთქვეს შენიშვნა, ბემოაღნიშნულ განხილვის ფორმატთან დაკავშირებით. მათი მოსაზრებით, დროის სამართლიანად გადანაწილებისა და სრულყოფილი განხილვისათვის, ფრაქციებს უნდა ჰქონდეთ გამოყოფილი ფიქსირებული დრო, რომელსაც თავისი სურვილისამებრ გადაანაწილებენ.

საანგარიშო პერიოდში, პარლამენტის კომიტეტის სხდომებზე, თანამდებობის პირის დაბარების 42 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, აქედან 32-ის ინიციატორი ფრაქცია იყო, ხოლო 10-ის – კომიტეტი.



2018 წლის განმავლობაში, საპარლამენტო ფრაქციებმა სულ 21-ჯერ მიიწვიეს თანამდებობის პირი ფრაქციის სხდომაზე, ხოლო 2017 წელს - 11-ჯერ.<sup>53</sup> როგორც 2019 წლის მონაცემებიდან ჩანს, ახალი რეგლამენტის პირობებში, ფრაქციებმა უფრო აქტიურად გამოიყენეს თანამდებობის პირის სავალდებულო წესით მოწვევის მექანიზმი და თანამდებობის პირებიც უფრო ხშირად ესწრებოდნენ სხდომებს.

2018 წლის განმავლობაში, ფრაქციის სხდომაზე, 21 დაბარებული თანამდებობის პირიდან არცერთი არ გამოცხადდა.<sup>54</sup> საანგარიშო პერიოდში, 32 დაბარებული თანამდებობის პირიდან, 12 შემთხვევაში, ისინი გამოცხადდნენ კომიტეტის სხდომაზე, ხოლო 20 შემთხვევაში არ გამოცხადდნენ.

გამოუცხადებლობის მიზეზები, ანგარიშის კომიტეტების ქვეთავებში უფრო დეტალურადაა განხილული, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კომიტეტის სხდომაზე გამოუცხადებლობის ყველაზე გავრცელებული ორი საფუძველი იყო:

53 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის საქმიანობის შეფასება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 12 ივლისი 2019, <https://bit.ly/3071pcA>, გვ. 44.

54 იქვე, გვ. 44-45.

**1. კომიტეტის სხდომაზე, წინა გამოცხადებიდან, ორთვიანი ვადის გაუსვლელობა.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ დროს, ანგარიშვალდებულ პირს აღარ წარმოეშობა კომიტეტის სხდომაზე გამოცხადების ვალდებულება. რეგლამენტით განსაზღვრული ეს ორთვიანი მოცდის პერიოდი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ინტერვიუში გააკრიტიკეს პარლამენტის წევრებმა - სალომე სამადაშვილმა და ეკა ბესელიამ. ეკა ბესელიას მოსაზრებით, ორთვიანი პერიოდი ცალკე უნდა აითვალოს უმრავლესობისა და ცალკე დანარჩენი ფრაქციებისთვის. ამით თავიდან იქნება აცილებული, მმართველი პარტიის მიერ საზედამხედველო მექანიზმის ბოროტად გამოყენების რისკი, რაც შეიძლება გამოიხატოს მმართველი პარტიის დეპუტატების მხრიდან, მინისტრის იმ მიზნით დაბარებაში, რომ მომდევნო ორ თვეში, ოპოზიციამ ვერ შეძლოს აღნიშნული უფლებით სარგებლობა.

**2. ანგარიშვალდებული პირის, კომიტეტის სხდომის ნაცვლად, პლენარულ სხდომაზე გამოცხადება.** ასეთ შემთხვევას რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი. სავალდებულო წესით მონვეული მინისტრის კომიტეტის სხდომაზე მოუსვლელობას კომიტეტი ხსნიდა იმით, რომ მინისტრი ესწრება პლენარულ სხდომას და ფრაქციას აქვს შესაძლებლობა, მისთვის საინტერესო კითხვები პლენარულ სხდომაზე დაუსვას გამომსვლელს. რეგლამენტის თანახმად, პლენარულსა და კომიტეტის სხდომებზე პირის დაბარება საპარლამენტო კონტროლის განსხვავებული მექანიზმებია და ისინი არ ანაცვლებს ერთმანეთს, შესაბამისად, ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, თანამდებობის პირი უნდა დაესწროს, როგორც კომიტეტის, ასევე პლენარულ სხდომას. ეს მანკიერი პრაქტიკა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ინტერვიუს დროს, ყველა რესპოდენტმა გააკრიტიკა.

აღსანიშნავია, რომ რეგლამენტი არ ითვალისწინებს ანგარიშვალდებული პირების კომიტეტის სხდომაზე გამოცხადების ცენტრალიზებული აღრიცხვის სისტემას<sup>55</sup>, არც მათი მხრიდან კანონის დარღვევით გამოუცხადებლობაზეა გათვალისწინებული რაიმე სახის სანქცია, გარდა პოლიტიკური პასუხისმგებლობისა.<sup>56</sup>

აღსანიშნავია, რომ ისეთ მნიშვნელოვან კომიტეტებს, როგორცაა იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და თავდაცვის კომიტეტი, საანგარიშო პერიოდში, არ გამოუყენებიათ კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული პირების მონვევის უფლება. კომიტეტის ინიციატივით, არც ერთი თანამდებობის პირი არ ყოფილა მონვეული სხდომაზე, ხოლო ოპოზიციური ფრაქციების მიერ მონვეული პირები, სხდომაზე არ გამოცხადდნენ. საანგარიშო პერიოდში, არაერთი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, მაგალითად, ბორდერიზაციის პრობლემები და სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესები. საპარლამენტო კონტროლი სწორედ მსგავს მნიშვნელოვან თემებს უნდა მოიცავდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ პარლამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, საანგარიშო პერიოდში კომიტეტების სხდომებზე მონვეული, ან საკუთარი ინიციატივით გამოცხადებული თანამდებობის პირების შესახებ. იხილეთ ინფორმაცია კომიტეტების მიხედვით:

### **ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი**

კომიტეტის ინფორმაციით, 2018 წლის 19 დეკემბერს, კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ მიერ დაბარებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია. მინისტრ გახარიას, კომიტეტის სხდომაზე დაბარების პერიოდს დაემთხვა მისი წარდგომა საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის წინაშე. კომიტეტისათვის წარსადგენ

55 მაგალითად, მსგავსი სისტემა არსებობს სადეპუტატო კითხვების შემთხვევაში და პარლამენტის ვებგვერდზე თავსდება პარლამენტის წევრთა დასმული კითხვები და მათზე გაცემული პასუხები, ასევე პასუხის არ გაცემის და დაგვიანების შემთხვევებიც.

56 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ინტერვიუში, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი, გელა მიქაძე მიიჩნევდა, რომ, ამ შემთხვევაში, უნდა მოქმედებდეს სულ ფინანსური ხასიათის სანქციები.



საკითხებთან დაკავშირებით, მინისტრმა, პლენარულ სხდომაზე ისაუბრა და კომიტეტის სხდომაზე არ მივიდა.

2019 წლის 21 აპრილს, ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ მიერ, კომიტეტის სხდომაზე კვლავ დაბარებულ იქნენ ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი. რეგლამენტით დადგენილ ვადაში, მინისტრები კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად ვერ გამოცხადნენ. მინისტრებმა გამოსაცხადებლად ითხოვეს განსაზღვრული დრო, რაც ეცნო და შეთანხმდა დაბარების ინიციატორთან.

### **განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი**

- ფრაქცია „ევროპული საქართველო“-ს მოთხოვნით, კომიტეტის სხდომაზე დაბარებულ იქნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი - **მიხეილ ბატიაშვილი**. განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში ჩატარებული ინსპექტირების საფუძვლები. 2019 წლის 7 თებერვალს, მინისტრი დაესწრო კომიტეტის სხდომას და უპასუხა დეპუტატთა შეკითხვებს.

### **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**

- ეროვნული ბანკის პრეზიდენტი - **კობა გვენეტაძე**, კომიტეტის სხდომაზე, 26 თებერვალს, ფრაქციების - „ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო - რეგიონები“ მოთხოვნით წარსდგა. განსახილველ საკითხს, ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული რეგულაციები და „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებული პროცესები წარმოადგენდა.

კომიტეტზე საკითხის განხილვის ფორმატმა ცხარე დისკუსია გამოიწვია. კობა გვენეტაძეს, ისევე, როგორც მმართველი პარტიის დეპუტატებს, მათ შორის, კომიტეტის თავმჯდომარეს - რომან კაკულიას მიაჩნდათ, რომ „თიბისი ბანკის“ საკითხის საჯარო განხილვა, შესაძლოა, დამამიანებელი ყოფილიყო. საპარლამენტო უმცირესობის შეთავაზება კი ითვალისწინებდა, რომ სხდომაზე, დეპუტატების ყველა კითხვა დასმულიყო საჯაროდ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საჯაროდ ეპასუხა იმ შეკითხვებისთვის, რასაც თავად ჩათვლიდა საჭიროდ, დანარჩენ კითხვებს კი სხდომის დახურვის შემდეგ გაეცემოდა პასუხი.<sup>57</sup> მოგვიანებით, კომიტეტის თავმჯდომარემ, სხდომის დასრულებას უყარა კენჭი, რასაც მხარი მმართველი პარტიის წევრებმა დაუჭირეს, შედეგად, კომიტეტის სხდომა დასრულდა.<sup>58</sup>

- საპენსიო სააგენტოს დირექტორი - **ლევან სურგულაძე** კომიტეტის სხდომაზე, 2019 წლის 23 აპრილს, ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ მიწვევით წარსდგა. სხდომაზე, დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის აღსრულების საკითხი განიხილეს.
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - **ნათელა თურნავა**, ოთხი ფრაქციის<sup>59</sup> მოთხოვნის საფუძველზე, 7 ივნისის კომიტეტის სხდომაზე გამოცხადდა. განსახილველი იყო ოთხი საკითხი: ჭიათურაში მალაროელების გაფიცვა; ფოთის ღრმა წყლოვანი პორტის მშენებლობა; 2019 წლის 21 აპრილს პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენები; „გაბპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.

2019 წლის 25 მარტს, სამმა ფრაქციამ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, კობა გვენეტაძე, ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების შედეგებთან დაკავშირებით კვლავ დაიბარა, თუმცა, რადგანაც

57 „პარლამენტში „თიბისის“ საქმის საჯარო მოსმენა ჩაიშალა,“ [imedinevs.ge](https://bit.ly/38Lwyyk), 26 თებერვალი 2019, <https://bit.ly/38Lwyyk>

58 „ჩაშლილი სხდომის ისტორია - რატომ ჩავარდა მამუკა ხაზარაძის მოსმენა“, [bm.ge](https://bit.ly/2PPdoHI), 26 თებერვალი 2019, <https://bit.ly/2PPdoHI>

59 ფრაქციები „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“, „ნაციონალური მოძრაობა“.

გვენტაძე, 26 თებერვალს უკვე იმყოფებოდა კომიტეტის სხდომაზე, ხოლო ამ თარიღიდან ორი თვე არ იყო გასული, რეგლამენტის თანახმად, მას დასწრების ვალდებულება არ ჰქონდა.<sup>60</sup>

2 აპრილს, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ დემოკრატების“ ინიციატივით მოთხოვნილ იქნა სამი თანამდებობის პირის მოწვევა: ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის - დავით სერგეენკოს, შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის - ლევან რაზმაძის და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის - ნოდარ ხადურის. თანამდებობის წევრები კომიტეტის სხდომაზე არ გამოცხადებულან, კომიტეტმა მხოლოდ დავით სერგეენკოს გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ მოგვანოდა ცნობა - კომიტეტის ინფორმაციით ის მივლინებაში იმყოფებოდა.

## დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა, საკუთარი ინიციატივით, შემდეგი თანამდებობის პირები მოიწვია კომიტეტის სხდომებზე:

- რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე - **ზაზა ვაშაყმაძე** 2018 წლის 19 დეკემბერს წარსდგა კომიტეტის სხდომაზე, მოხსენებით. სააგენტოს მიერ განუული საქმიანობის თაობაზე
- განათლების სამინისტროს სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორმა - **მერაბ ჩუხუამ**, 14 მარტს, კომიტეტის სხდომაზე, ისაუბრა ცენტრის მიერ განუული საქმიანობის ანგარიშისა და 2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.
- საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის თავმჯდომარემ - **მალხაზ მიქელაძემ**, 29 მარტს, სხდომაზე, კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია, რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობის და რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ.
- ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსმა - **გიორგი ბუნტურმა**, 15 აპრილს, კომიტეტის სხდომას საქართველოს მოქალაქეთა შრომითი მიგრაციის, ლეგალური მიგრაციის არსებული გამოწვევების და მათი გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.
- სსიპ „ანარმოე საქართველოში“ დირექტორი - **მიხეილ ხიდურელი**, 28 მაისს წარსდგა კომიტეტის სხდომაზე, სადაც ისაუბრა პროგრამით - „ანარმოე საქართველოში“ გათვალისწინებულ პროექტებში, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისა და დაბრუნებული მიგრანტების ჩართულობის, პროგრამის ფარგლებში დიასპორული პოტენციალის გამოყენების და ამ მიმართულებით სპეციალური პროექტების შემუშავების შესახებ.
- საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისა და აღდგენის მოთხოვნის დროებით უფლებასთან დაკავშირებულ საკითხზე, კომიტეტმა დაიბარა იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე - **მიხეილ სარჯველაძე**. იგი 10 ივნისის კომიტეტის სხდომას დაესწრო, სადაც საკონსტიტუციო რეფორმის და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების კონტექსტში ისაუბრა, შემდეგ საკითხებზე: სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება; მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნის დროებითი უფლების გამოყენება; საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭება; ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა და სტატისტიკური მონაცემები; პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები და მათი გადაჭრის მექანიზმები.

## ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

60 შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2019 წლის 5 აპრილს პარლამენტმა, კობა გვენტაძეს პლენარულ სხდომაზე მოუსმინა.



- საგარეო საქმეთა მინისტრმა - **დავით ზალკანიანმა**, 14 მარტს, კომიტეტის ინიციატივით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისა და საგარეო საქმეთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია წარადგინა.<sup>61</sup> სტრატეგია მოიცავდა ოთხ მიზანს:

1. სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა
2. ევროკავშირში განწევრიანება
3. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) განწევრიანება
4. ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაცია და საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიური იმიჯის განმტკიცება.<sup>62</sup>

ზალკანიანმა სხვა მიზნებთან ერთად ხაზი გაუსვა ნატოში განწევრიანებისკენ სწრაფვას, სტრატეგიაში ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატში პოლიტიკური დიალოგის გაგრძელება და მაქსიმალური გააქტიურება; საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინტეგრაციული მექანიზმის ეფექტიანად გამოყენება; ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის, როგორც ალიანსთან პრაქტიკული თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ეფექტიანი გამოყენება; შავი ზღვის უსაფრთხოებაში წვლილის შეტანის მიზნით ალიანსთან თანამშრომლობის გაძლიერება და სხვა.

### **თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი**

კომიტეტმა არ მოგვანოდა ინფორმაცია ანგარიშვალდებული პირების კომიტეტში დაბარების შესახებ. თუმცა, მითითებულია, რომ საანგარიშო პერიოდში, კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვედრები ჰქონდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ხელმძღვანელებთან, მიმდინარე რეფორმების თაობაზე, კომიტეტის ინფორმაციით, ამ შეხვედრებთან დაკავშირებით, ინფორმაცია ხშირად არ შუქდება, ვინაიდან ის მიმდინარეობს სამუშაო ფორმატში, თუმცა კომიტეტის წერილში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ შეხვედრები მთლიანად საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ კომიტეტს საანგარიშო პერიოდში საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში არ ჩაუტარებია სხდომა და არ მოუსმენია ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისათვის, ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ბორდერიზაციის პრობლემები.

### **იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**

საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველოს“, „ევროპული საქართველო რეგიონებისა“ და „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ, 2019 წლის მარტისა და აპრილის თვეში, იმ დროს მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, მოთხოვნილ იქნა საქართველოს მთავრობის 3 წევრის კომიტეტის სხდომაზე დასწრება (შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა). კომიტეტის ინფორმაციით, დაბარებული მთავრობის წევრები იმავე საკითხზე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარდგინენ და, შესაბამისად, მათი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დასწრების საჭიროება აღარ დამდგარა.

### **რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი**

61 ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების ერთობლივი სხდომა, 14 მარტი 2019 წელი, [parliament.ge](http://parliament.ge), <https://bit.ly/2TwE3u5>

62 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, <https://bit.ly/2leuNpr>

- 2019 წლის 16 იანვარს, სახალხო დამცველი - **ნინო ლომჯარია** კომიტეტის ინიციატივით დაესწრო კომიტეტის სხდომას. მან რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ისაუბრა.
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - **ქეთევან ციხელაშვილი** კომიტეტის ინიციატივით დაესწრო 2019 წლის 16 იანვრის სხდომას, სადაც განიხილეს გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში არსებული მდგომარეობა.

### საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

- საგარეო საქმეთა მინისტრი - **დავით ზალკარიანი**, 2019 წლის 14 მარტს, საგარეო საქმეთა კომიტეტისა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომას დაესწრო. მონწევის ინიციატორები კომიტეტები იყვნენ.

კომიტეტის ინფორმაციით, 2019 წლის 19 თებერვალს, ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიმართა კომიტეტს, ანაკლიის პორტის თემასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა მინისტრის და ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრის მონწევის მოთხოვნით. კომიტეტის სხდომას მინისტრები არ დაესწრნენ. კომიტეტის ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრის, 14 მარტის სხდომაზე გამოსვლის დროს, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, არსებული კითხვები დაესვათ მინისტრისთვის. რაც შეეხება ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრს, 21 მარტს, პლენარულ სხდომაზე, გაიმართა მაია ცქიტიშვილის მოსმენა ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით, სადაც ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, აგრეთვე, ჰქონდათ შესაძლებლობა, დაესვათ კითხვები და მიეღოთ პასუხები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომიტეტის სხდომაზე მონწევული ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე გამოსვლა, არ შეიძლება იყოს მისი კომიტეტის სხდომაზე გამოცხადებლობის საფუძველი, რასაც, როგორც ვხედავთ, არაერთხელ ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში.

### საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

- 2019 წლის 2 აპრილს, საპარლამენტო ფრაქციებმა - „ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მოითხოვეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, **ივანე მაჭავარიანის** კომიტეტის სხდომაზე მონწევა - კომპანია „ომეგას“, საბანკო რეგულაციების, საპენსიო რეფორმის, საგადასახადო წნეხის ზრდის, შრომითი ხელშეკრულებით და მუნიციპალურ სსიპ-ებში დასაქმებული პირების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 23 აპრილს მოუსმინა ფინანსთა მინისტრის მოხსენებას მოთხოვნილ საკითხებზე.

2019 წლის 17 ივნისს, საპარლამენტო ფრაქცია - „ევროპულმა საქართველომ“ ისევ მოითხოვა კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ივანე მაჭავარიანის მონწევა. ფრაქციის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან კომიტეტის სხდომაზე მინისტრის ხელმეორედ მონწევისთვის საჭიროა გასული იყოს ორი თვე მინისტრის კომიტეტზე დასწრებიდან.

მიმდინარე წლის 26 თებერვალს ფრაქცია „ევროპულმა საქართველომ“ მოითხოვა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის მონწევა „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გამოიყენა რეგლამენტით მინიჭებული უფლება და მიმართა პარლამენტს პლენარულ სხდომაზე გამოსვლის თხოვნით. შესაბამისად, როგორც კომიტეტის მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის“ მიწოდებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, 2019 წლის 8 აპრილს, კომიტეტის ნაცვლად გვენეტაძის მოხსენების მოსმენა, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან, „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მოხდა პლენარულ სხდომაზე. როგორც

ბემოთ აღვნიშნეთ, ასეთი საფუძვლით კომიტეტის სხდომაზე გამოუცხადებლობა, პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

## **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი**

- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **დავით სერგეენკო** კომიტეტის სხდომაზე ფრაქციებმა „ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო რეგიონები“ დაიბარეს. განსახილველი საკითხი იყო ბავშვთა დაცვისა და სოციალური მუშაობის სისტემის პრობლემების განსაზღვრა. 2019 წლის 5 მარტს ჩატარდა კომიტეტის სხდომა, სადაც დავით სერგეენკომ წარმოადგინა ინფორმაცია, სოციალური მუშაკების წინაშე არსებული პრობლემების შესახებ. მინისტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენისა და განხილვის შედეგად, კომიტეტმა სამინისტროს მიმართ შეიმუშავა რეკომენდაციები.

ფრაქციებმა - „ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო - რეგიონები“, 29 მარტს მოითხოვეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის - დავით სერგეენკოს და ფინანსთა მინისტრის - ივანე მაჭავარიანის დაბარება. (განსახილველი საკითხი - სოციალური მუშაკების წინაშე არსებული პრობლემები, მათ გაფიცვასთან და ამ სფეროში არსებულ უმძიმეს მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა).

ივანე მაჭავარიანი კომიტეტის სხდომაზე არ მივიდა. დამატებითი კომუნიკაციის შედეგად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომიტეტმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ მინისტრი მაჭავარიანი კომიტეტის სხდომას ვერ დაესწრო მივლინებაში ყოფნის მიზეზით.

დავით სერგეენკოს შემთხვევაში, არსებობდა არმისვლის საპატიო საფუძველი. კერძოდ, კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო წესით დასწრებიდან 2 თვის ვადის გასვლამდე, თანამდებობის პირი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული დაესწროს კომიტეტის სხდომას, თუ კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა მოითხოვს ამას. კომიტეტის სიითი უმრავლესობის მოთხოვნა კი, ამ შემთხვევაში, არ არსებობდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის“ კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სავალდებულო დასწრების საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, მინისტრმა, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, გამოთქვა სხდომაზე დასწრების მზადყოფნა, თუმცა, საანგარიშო პერიოდში მისი გამოცხადება არ მომხდარა.

ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც 2 აპრილს, ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებმა“, კვლავ დავით სერგეენკოს სავალდებულო მონაწილეობის მოთხოვნით მიმართეს კომიტეტს. (განსახილველი საკითხი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2016-2017 წლებში ავტომობილებისა და მათი მომსახურების შესყიდვების შესახებ გამოცხადებული ტენდერები). ამ შემთხვევაშიც, მინისტრის კომიტეტის სხდომაზე დასწრებიდან ორ თვიანი ვადა არ იყო გასული, შესაბამისად, მინისტრს არ გააჩნდა გამოცხადების ვალდებულება. სამინისტროდან მიღებული წერილის თანახმად, მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა, დასწრებოდა სხდომას, თუმცა, წერილში მითითებული ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, მოითხოვა სხდომის თარიღის შეცვლა. აღნიშნული ინფორმაცია კომიტეტმა მიაწოდა მონაწილეს ავტორს.


## **სხვა კომიტეტები**

პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციით, აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტებს, საანგარიშო პერიოდში არ მოუწვევია ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი.

## 2.8 პარლამენტის წინაშე ანგარიშვადგებუდი სხვა ორგანოების ანგარიშების მოსმენა


პარლამენტი, მთავრობის გარდა, სხვა ისეთ ორგანოებზე ახორციელებს ზედამხედველობას, როგორებიცაა: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და სხვა. ზედამხედველობის მთავარი ფორმა მათი ყოველწლიური ანგარიშების მოსმენაა.

იმ ორგანოების ანგარიშები, რომელთა დაკომპლექტებაშიც პარლამენტი მონაწილეობს, განიხილება პლენარულ სხდომაზე, რის შედეგადაც პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება.



საანგარიშო პერიოდში, ანგარიშვადგებულმა ორგანოებმა (სამთავრობო პროგრამის შუალედური შესრულების ანგარიშის ჩათვლით), პარლამენტში სულ 22 ანგარიში წარადგინეს, ორი მათგანი პარლამენტმა ცნობად მიიღო, ხოლო სამ ანგარიშზე — დადგენილება შეიმუშავა. დანარჩენი 17 ანგარიში კი განსახილველად გადაეცა კომიტეტებსა და ფრაქციებს, ხოლო მათი განხილვა დაიგეგმა საშემოდგომო სესიაზე.

**დიაგრამა 7. საანგარიშო პერიოდში ანგარიშვალდებული ორგანოების პარლამენტის წარმომადგენელი ანგარიშები**



აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, მთელი წლის განმავლობაში, პარლამენტმა, განსახილველად ანგარიშვალდებული ორგანოებიდან, სულ 19 ანგარიში მიიღო,<sup>63</sup> რაც 2019 წლის მხოლოდ გაზაფხულის სესიაზე მიღებულ ანგარიშებზე ნაკლებია.

**ცხრილი N7. საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (16.12.2018 - 01.07.2019)**

N	შემოსვლის თარიღი	ანგარიშის დასახელება	შენიშვნა
1	24.01.2019	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2018 წლის მუშაობის ანგარიში, (სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო)	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
2	28.02.2019	იურიდიული დახმარების სამსახურის 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ <sup>64</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
3	01.03.2019	პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში <sup>65</sup>	საქართველოს პარლამენტის დადგენილება N4735, 30.05.2019 <sup>66</sup>

63 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის საქმიანობის შეფასება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, თბილისი, 2019, გვ. 36, <https://bit.ly/32GPout>

64 ანგარიში იხილეთ შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2VPpOLO](https://bit.ly/2VPpOLO).

65 ანგარიში იხ, შემდეგ ბმულზე, [bit.ly/38tTnNI](https://bit.ly/38tTnNI).

66 დადგენილება იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2TtPbcD](https://bit.ly/2TtPbcD).



4	15.03.2019	დეპოზიტების დაბლვევის სააგენტოს 2018 წლის წლიური ანგარიში	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
5	18.03.2019	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში <sup>67</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
6	27.03.2019	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში <sup>68</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
7	27.03.2019	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიშები, (იუსტიციის სამინისტრო)  დასრულებული საქმეები. <sup>69</sup>  მიმდინარე საქმეები <sup>70</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
8	27.03.2019	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, 2018 წლის ანგარიში, (იუსტიციის სამინისტრო) <sup>71</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
9	30.03.2019	საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ <sup>72</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში

67 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2vBaQXg](http://bit.ly/2vBaQXg).

68 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/39tXtqt](http://bit.ly/39tXtqt).

69 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2PU9QEp](http://bit.ly/2PU9QEp).

70 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/3cBeVeB](http://bit.ly/3cBeVeB).

71 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2TGNE1z](http://bit.ly/2TGNE1z).

72 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/38mS5UI](http://bit.ly/38mS5UI).



10	10.04.2019	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2018 წლის ანგარიში, (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიასთან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი) <sup>73</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
11	24.04.2019	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში <sup>74</sup>	ცნობად იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 11 ივნისის პლენარულ სხდომაზე
12	30.04.2019	საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის ანგარიში  (შიდა აუდიტის - ბიუჯეტის შესრულებაზე.) <sup>75</sup>  პირველი არხი ანგარიში 2018 <sup>76</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
13	30.04.2019	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში <sup>77</sup>	ცნობად იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 27 ივნისის პლენარულ სხდომაზე
14	30.04.2019	საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის წლიური ანგარიში <sup>78</sup>	საქართველოს პარლამენტის დადგენილება N4864 27.06.2019 <sup>79</sup>
15	14.05.2019	საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში <sup>80</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში

73 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2TLRtTI](http://bit.ly/2TLRtTI)

74 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/38wCKRs](http://bit.ly/38wCKRs)

75 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/32W0wFf](http://bit.ly/32W0wFf)

76 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/3avdH2D](http://bit.ly/3avdH2D)

77 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2uZY983](http://bit.ly/2uZY983)

78 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2PThpLE](http://bit.ly/2PThpLE)

79 დადგენილება იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2vMVeZV](http://bit.ly/2vMVeZV)

80 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/38oPzNz](http://bit.ly/38oPzNz)

16	20.05.2019	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე. <sup>81</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
17	24.05.2019	2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, (საქართველოს მთავრობა) <sup>82</sup>	საქართველოს პარლამენტის დადგენილება #4865, 27.06.2019 <sup>83</sup>
18	29.05.2019	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში <sup>84</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
19	31.05.2019	„თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“- მოხსენება 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ <sup>85</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
20	03.06.2019	„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში <sup>86</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
21	3.06.2019	საპენსიო სააგენტოს 2018 წლის ანგარიში <sup>87</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში
22	14.06.2019	„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ შესრულების თაობაზე საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიშის“ პროექტი, (საქართველოს მთავრობა) <sup>88</sup>	განსახილველად დარიგდა კომიტეტებში და საპარლამენტო ფრაქციებში

81 მოხსენება იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2VPyN7D](http://bit.ly/2VPyN7D)

82 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/3auL3Pd](http://bit.ly/3auL3Pd)

83 დადგენილება იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2xgojdO](http://bit.ly/2xgojdO)

84 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2vHLSFq](http://bit.ly/2vHLSFq)

85 მოხსენება იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/3ayZYbc](http://bit.ly/3ayZYbc)

86 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2wzd2yq](http://bit.ly/2wzd2yq)

87 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2TW4LwL](http://bit.ly/2TW4LwL)

88 ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2xji4jb](http://bit.ly/2xji4jb)

სახალხო დამცველმა და გენერალურმა პროკურორმა, მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი ანგარიში პარლამენტს წარუდგინეს, 20 ივნისს განვითარებული მოვლენების გამო, პლენარულ სხდომაზე ანგარიშის წარდგენა ვერ შეძლეს. მათი მოსმენა საშემოდგომო სესიისთვის გადაიდო.

## **2.8.1 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა (სახალხო დამცველის ანგარიშები)**

რეგლამენტის თანახმად, სახალხო დამცველი კალენდარული წლის მარტში, პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ, ანგარიში „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ პარლამენტს 30 მარტს წარუდგინა.<sup>89</sup>

ანგარიშის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში, დამცველის აპარატში შემოვიდა 8480 განცხადება და განხორციელდა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. გაცემულია 107 რეკომენდაცია/წინადადება. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა 11-ჯერ წარადგინა სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაგზავნილია 2 კონსტიტუციური სარჩელი. წლის განმავლობაში მომზადდა 11 სპეციალური ანგარიში.

ანგარიშში დეტალურად და მრავალმხრივადაა განხილული, 2018 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა. ის მოიცავს სახალხო დამცველის საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის:

- **სიცოცხლის უფლება** – საუბარია თემირლან მაჩალიკაშვილის, „ხორავას ქუჩის“, ლევან კორტავას საქმეებზე, ასევე, ამავე უფლების ჭრილში განხილულია ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების საკითხი.
- **თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება** – განხილულია უკანონო დაკავებების შემთხვევები, ასევე, 12 მაისის სპეციალური ოპერაციის დროს, სამხრე კამერების გამოყენების ხარვეზები. ასევე, საუბარია ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტის გამოძიებაზე, ამ კუთხით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებზე.
- **სამართლიანი სასამართლოს უფლება** – მიმოხილულია სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენის პროცესი და სხვა შემთხვევები.
- **თანასწორობის უფლების დაცვა** – საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა სავარაუდო დისკრიმინაციის 158 ფაქტი შეისწავლა და 16 შემთხვევაში რეკომენდაცია, ხოლო 6 შემთხვევაში – ზოგადი წინადადება გამოსცა.
- **ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობის მიღწევა** – ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ლგბტ+ ადამიანების ჩაგვრა და დისკრიმინაცია. ასევე ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის აღმოფხვრა.
- **გამოხატვის თავისუფლება** – ამ ასპექტში, ანგარიშში საუბარია არაჯანსაღ მედიაგარემოზე და აფგან მუხთარლის გაუჩინარების გამოუძიებელ საქმეზე.

89 საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17737>

- **ეკოლოგია** - საუბარია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე, გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე, მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარვეზიან რეგულაციებზე და ა.შ.
- **შრომის უსაფრთხოება** - ყურადღება გამახვილებულია არაეფექტიან საკანონმდებლო რეგულაციებზე.
- **პაციენტთა უფლებები** - ანგარიშის თანახმად, გამოწვევად რჩება მიზნობრივი შემწეობის დანიშვნის მეთოდოლოგიური ხარვეზები.
- **საარჩევნო უფლება** - ნეგატიურადაა შეფასებული 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების უკიდურესად პოლარიზებული საარჩევნო გარემო, ასევე ამ არჩევნების თანმდევი ძალადობრივი ინციდენტები და სიძულვილის ენა.
- **ოკუპირებული ტერიტორიები** - აღნიშნულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის მძიმე მდგომარეობა. არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის უფლების დარღვევა.
- **ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა** - ანგარიშში ხაზგასმულია სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობა და სისტემის კრიზისული მდგომარეობა.
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები** - ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის განსახორციელებლად.
- ანგარიში ასევე მოიცავს *ხანდაზმულთა, ეროვნულ უმცირესობათა, თავდაცვის სფეროში მომუშავე* ადამიანის უფლებებს, ასევე *დევნილთა და უცხოელთა* უფლებრივ მდგომარეობას.

გემოაღნიშნული პრობლემების საფუძველზე, სახალხო დამცველმა ჯამში 306 რეკომენდაცია შეიმუშავა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოებისათვის.

ანგარიშში ასევე გაანალიზებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.<sup>90</sup>

2019 წლის 27 მაისს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა (წამყვანი კომიტეტი) განიხილა სახალხო დამცველის ანგარიში და **306 რეკომენდაციიდან 250 გაიზიარა**. კომიტეტის დასკვნით,<sup>91</sup> რეკომენდაციის აღრესატებს მათი შესრულების ანგარიშის კომიტეტისთვის წარმოსადგენ ბოლო ვადად 2020 წლის 1 მარტი განესაზღვრათ.<sup>92</sup>

რეგლამენტის თანახმად, წარდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი საგაზაფხულო სესიაზე მოხსნებით უნდა წარმდგარიყო, თუმცა, 20 ივნისის მოვლენების გამო, სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა პარლამენტმა ვერ შეძლო და იგი სამემოდგომო სესიისთვის გადაიდო.

საანგარიშო პერიოდში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა შეამოწმა სახალხო დამცველის წინა წლის ანგარიშის საფუძველზე პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების<sup>93</sup> აღსრულების მდგომარეობა.

---

90 იქვე, გვ. 20.  
 91 დასკვნა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/230879?>  
 92 იქვე, გვ. 108.  
 93 პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის N3148-რს დადგენილება 2017 ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.



## 2.8.2 ეროვნული ბანკის ანგარიში

საქართველოს ეროვნული ბანკი, ყოველწლიურად, საფინანსო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 4 თვისა, პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ. საანგარიშო პერიოდში, ეროვნულმა ბანკმა პარლამენტს ანგარიში წერილობით 30 აპრილს გაუგზავნა.<sup>94</sup>

ეროვნული ბანკის ანგარიშებს პარლამენტი განიხილავს და ამტკიცებს დადგენილებით. საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის შეფასების შესახებ.

პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, კობა გვენეტაძეს 27 ივნისს მოუსმინა. განხილვის შედეგად, პარლამენტმა ეროვნული ბანკის ანგარიში დაამტკიცა.<sup>95</sup>

## 2.8.3 საპენსიო სააგენტოს საქმიანობის ანგარიში

2019 წლის პირველი იანვრიდან, საქართველოში სავალდებულო დაგროვებითი პენსიის სისტემა ამოქმედდა.<sup>96</sup> დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელების, მართვისა და ადმინისტრირებისათვის 2018 წლის 15 აგვისტოს სსიპ - საპენსიო სააგენტო დაფუძნდა. პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა სააგენტოს ზედამხედველობის თვალსაზრისით, რაც, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნისა, გულისხმობს სააგენტოს საქმიანობის ანგარიშის მოსმენას და მასთან დაკავშირებით დადგენილების მიღებას.

კერძოდ, პარლამენტის რეგლამენტი საპენსიო სააგენტოს ავალდებულებს ყოველი წლის 1 ოქტომბრამდე წარადგინოს ინფორმაცია მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ხოლო არაუგვიანეს 1 ივნისისა - საქმიანობის წლიური ანგარიში. განხილვის შემდეგ, პარლამენტი იღებს შესაბამის დადგენილებას. პარლამენტის დადგენილებაში შეიძლება მიეთითოს ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრასთან ან/და სააგენტოს საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წინადადებები.

2019 წლის 31 მაისს საპენსიო სააგენტომ პარლამენტს გადაუგზავნა საპენსიო სააგენტოს 2018 წლის ანგარიში, რომელიც სააგენტოს შექმნიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავდა.<sup>97</sup> ვინაიდან საპენსიო სისტემა 1 იანვრიდან ამოქმედდა, საანგარიშო პერიოდი მოიცავდა სააგენტოს დაარსებიდან სისტემის ამოქმედებამდე პერიოდს, შესაბამისად, ანგარიშში აღწერილია სააგენტოს დებულების მიღების და დირექტორის დანიშვნის, ორგანიზაციის სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი.

პარლამენტის ბიურომ ანგარიში გადაუგზავნა კომიტეტებსა და ფრაქციებს, ხოლო წამყვან კომიტეტად ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი განსაზღვრა. პლენარულ სხდომაზე ანგარიშის განხილვა საშემოდგომო სესიაზე დაიგეგმა.

## 2.8.4 პენსიონალური მონაცემთა ბაზის ინსპექტორის ანგარიში

2018 წლის 21 ივლისს, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონით შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. ამავე კანონით გაუქმდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის

94 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის წლიური ანგარიში, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17954>

95 პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/225578?>

96 „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი.

97 სსიპ საპენსიო სააგენტოს 2018 წლის ანგარიში, <https://info.parliament.ge/#law-drafting/18262>

ინსპექტორის თანამდებობა, რადგან მისი ფუნქციებიც სახელმწიფო ინსპექტორმა შეითავსა. თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გაუქმება კანონით 2019 წლის 10 მაისამდე გადავადდა. შესაბამისად, ახალ რეგლამენტში შენარჩუნდა ვალდებულება, რომლის თანახმადაც, წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 1 მარტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს, ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.<sup>98</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა ანგარიში პარლამენტს 2019 წლის 1 მარტს წარუდგინა.<sup>99</sup> ბიურომ, წამყვან კომიტეტად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი განსაზღვრა. კომიტეტმა 25 აპრილს წარმოადგინა დასკვნა, რომლითაც ანგარიში დადებითადაა შეფასებული. დასკვნა, ძირითადად, აღწერილობით ხასიათს ატარებს, რომელსაც თან რვა რეკომენდაცია ერთვის.<sup>100</sup>

პარლამენტმა 30 მაისს მიიღო დადგენილება, სადაც დადებითად შეაფასა ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და ინსპექტორის საქმიანობა, ასევე გაიზიარა წამყვანი კომიტეტის დასკვნა და რეკომენდაციები დადგენილებაშიც უცვლელად გადმოვიდა.<sup>101</sup>

## 2.8.5 იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ანგარიში

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, პარლამენტს წარუდგენს სამსახურის წინა წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშს. კანონით, ანგარიშის პლენარულ სხდომაზე განხილვა საავალდებულოა, რომლის შემდეგაც პარლამენტი დადგენილებით იწონებს ანგარიშს ან სამსახურს მოსთხოვს ხარვეზების აღმოფხვრას თუ საქმიანობის გაუმჯობესებას.

იურიდიული დახმარების სამსახურმა, 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში პარლამენტს 2019 წლის 28 თებერვალს გადაუგზავნა.<sup>102</sup> წამყვან კომიტეტად იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განისაზღვრა, რომელმაც ბიუროს განხილვის ვადის გადადების თხოვნით ოთხჯერ მიმართა. არცერთი წერილი არ შეიცავდა გადადების მოთხოვნის კონკრეტულ, დასაბუთებულ საფუძვლებს,<sup>103</sup> მიუხედავად ამისა, ბიურომ ოთხიჯერ დააკმაყოფილა გადადების მოთხოვნა. შედეგად, პლენარულ სხდომაზე, ანგარიშის განხილვა სამემოდგომო სესიისთვის გადაიდო.

98 ეს ვალდებულება, მისი ერთჯერადი საჭიროების გამო, გადატანილია ახალი რეგლამენტის გარდამავალ დებულებებში: 228-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

99 ქვეყანაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიშის თაობაზე, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17416>

100 დასკვნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ წარმოდგენილ 2018 წლის ანგარიშზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/219286?>

101 პარლამენტის დადგენილება ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიშის თაობაზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/223341?>

102 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, იურიდიული დახმარების სამსახურის 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17386>

103 გადადების მოთხოვნის საფუძვლები წერილების მიხედვით იყო: (1) „კომიტეტი ვერ ახერხებს ანგარიშის განხილვას“; (2) „[იმისთვის] რომ კომიტეტმა შეძლოს ანგარიშის [...] ვადაში და დადგენილი წესით განხილვა, მოგმართავთ თხოვნით, [...] ვადა გაგრძელდეს სამი კვირით.“; (3) „ვინაიდან მომხსენებლის მიერ ვერ ხერხდება[...] ვადაში ანგარიშის წარმოდგენა“; (4) „გამომდინარე იქიდან, რომ კომიტეტმა შეძლოს ანგარიშის [...] დადგენილი წესით განხილვა, მოგმართავთ თხოვნით, ანგარიშის განხილვის ვადა გაგრძელდეს 30 დღით“. იხილეთ, იქვე, კომიტეტის მიერ ბიუროსთვის 2019 წლის 25 მარტს, 1 მაისს, 27 მაისს და 12 ივნისს მიწერილი წერილები.



საგაზაფხულო სესიაზე, ანგარიშთან დაკავშირებით, დასკვნა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოამზადა.<sup>104</sup> დასკვნა, გარდა აღწერილობითი ნაწილისა, მოიცავს რეკომენდაციებს. ექვსი რეკომენდაციიდან – ოთხი გასული წლის დასკვნაში გაცემულ რეკომენდაციებს იმეორებს.<sup>105</sup>

დასკვნაში არ არის შეფასებული, კომიტეტის მიერ გასული წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

## 2.8.6 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ანგარიში

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ან მისი მოადგილე წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 აპრილისა, პარლამენტს წარუდგენს სამსახურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ საჯარო ანგარიშს. ანგარიშის განხილვის შემდეგ, პარლამენტი დადგენილებით აფასებს სამსახურის საქმიანობას.

2018 წლის საქმიანობის ანგარიში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პარლამენტს 2019 წლის 27 მარტს გადაუგზავნა.<sup>106</sup> წამყვან კომიტეტად თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი განისაზღვრა, ხოლო დასკვნის წარმოდგენა დაევალოთ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებს.

22 აპრილს, სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, სუს-ის თავმჯდომარის მოადგილემ - გრიგოლ ლილუაშვილმა ანგარიშის საჯარო ნაწილი წარადგინა. კითხვა-პასუხის რეჟიმი, კენჭისყრის შედეგად, დახურულ ფორმატში გაგრძელდა. დახურვის საფუძველი იყო ლილუაშვილის განცხადება, მისი თქმით: „კითხვები და მასზე გაცემული პასუხები, ყველა შემთხვევაში, საინტერესო იქნება, არა მხოლოდ მოყვრისთვის, არამედ მტრისთვის.“<sup>107</sup>

განხილვის შედეგად, კომიტეტებმა წარმოდგინეს შესაბამისი დასკვნები. ისინი, რეალურად, სუს-ის ანგარიშის მოკლე შინაარსია და არ შეიცავენ ანალიზის ან შეფასების ნაწილებს, გარდა ბოლო წინადადებებისა, სადაც ნათქვამია, რომ კომიტეტი დადებითად აფასებს წარმოდგენილ ანგარიშს.<sup>108</sup>

2019 წლის 3 მაისს, პლენარულ სხდომაზე, ანგარიში სუს-ის თავმჯდომარემ - ვახტანგ გომელაურმა წარადგინა. პარლამენტისთვის გადაგზავნილი ანგარიშის შემოკლებული ვერსიის წარდგენის შემდეგ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა დააყენა საკითხი სხდომის დახურვის თაობაზე, მისი განცხადებით: „[...] ჩვენ მოვისმინეთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც არის საჯარო. თუკი ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ფუნქციების განხორციელების პროცესში, აღჭურვილი ვიყოთ იმ ინფორმაციით, რომელიც შეეხება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, [...] ჩვენ გვჭირდება, დამატებით ვფლობდეთ ქვეყნის შესახებ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციებს“.<sup>109</sup> სესიაშვილის მოთხოვნის შემდეგ,

104 პარლამენტის ბიურომ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს დასკვნის სავალდებულო წესით წარდგენა განუსაზღვრა. იხ.: დასკვნა საჯარო სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229571?>

105 სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე, 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, გვ. 6, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/181014?>

106 „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის შესახებ“, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17715>

107 „პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინეს“, <https://bit.ly/2rjDzqB>

108 იხილეთ სამივე კომიტეტის დასკვნა: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/181014?>

109 პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ანგარიშს უსმენენ, <https://bit.ly/2Njvf2h>

პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით დახურა სხდომა.<sup>110</sup> ნახევრად საჯარო განხილვის შედეგად, 29 მაისს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც სულ ერთი წინადადებისგან შედგება: „დადებითად შეფასდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში.“<sup>111</sup>

გაუგებარია სხდომების დახურვა, როგორც საკომიტეტო, ასევე პლენარული განხილვის დროს, რადგან მას ესწრებოდნენ პარლამენტის ის წევრები, რომლებსაც არ აქვთ საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვება, შესაბამისად სხდომაზე არ შეიძლება ყოფილიყო რაიმე სახის სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციაზე მსჯელობა.

აღსანიშნავია, რომ სუს-ის წლიური ანგარიშის, როგორც პლენარულ, ასევე კომიტეტის დახურულ სხდომებზე, განხილვა ბოლო რამდენიმე წლის დამკვიდრებული პრაქტიკაა,<sup>112</sup> რომელსაც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც აკრიტიკებდნენ.<sup>113 114</sup> ინტერვიუს ფარგლებში სამი სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა:

1. პარლამენტის წევრები - თამარ ჩუგოშვილი და ეკა ბესელია მიიჩნევენ, რომ სხდომის დახურვა მიზანშეწონილია, მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო ინფორმაციაზე არ არის საუბარი, რადგან პარლამენტის წევრები დახურულ სხდომაზე უფრო სრულყოფილ ინფორმაციას იღებენ და სხდომაც უფრო მშვიდ და სამუშაო ფორმატში წარიმართება.
2. პარლამენტის წევრები: სალომე სამადაშვილი და გელა მიქაძე მიიჩნევენ, რომ სხდომა დახურული არ უნდა იყოს, რადგან სხდომაზე არც ერთხელ არ გაჟღერებულა ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება საზოგადოებას სცოდნოდა და, პირიქით, სხდომის ღიაობა ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან ნდობის ამაღლებას.
3. პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი მიიჩნევს, რომ სხდომაზე, სულ მცირე, შეკითხვების ნაწილი მაინც უნდა იყოს ღია, იმისათვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა საკითხებით ინტერესდებიან პარლამენტის წევრები და, ამის შემდეგ, სხდომის დახურვის საკითხი შეკითხვებიდან გამომდინარე გადაწყდეს.

## 2.8.7 პროკურორის საქმიანობის ანგარიში

2018 წლის 6 დეკემბრამდე მოქმედი პარლამენტის რეგლამენტი პროკურატურის საქმიანობის ანგარიშის რეგულარულ მოსმენას არ ითვალისწინებდა, რეგლამენტი მხოლოდ პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში იძლეოდა მთავარი პროკურორის მოსმენის შესაძლებლობას,<sup>115</sup>

ახალმა რეგლამენტმა პროკურატურის საქმიანობის ანგარიშის ყოველწლიური მოსმენა სავალდებულო გახადა, კერძოდ: საქართველოს გენერალური პროკურორი წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 მაისისა, პარლამენტს წარუდგენს საქართველოს პროკურატურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს. საქმიანობის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

110 უცნობია განხილვის დეტალებიც, რადგან რეგლამენტის 92-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების განხილვაც დახურული წესით მიმდინარეობს.

111 საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 29 მაისის N4610-III დადგენილება, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/223032?>

112 იხილეთ, 2016 წლის ანგარიშის მოსმენა: <https://bit.ly/2rttNIS>, 2017 წლის ანგარიშის მოსმენა: <https://bit.ly/35xpNpw>

113 EMC ეხმაურება პარლამენტში სუს-ის ანგარიშის მოსმენის ხარვეზიან პროცედურას, 14 აპრილი 2017, <https://bit.ly/2OT7eFB>

114 საია სუს-ის ანგარიშის განხილვის სრულად დახურვას ეხმაურება, 20 აპრილი 2017 წელი, <https://bit.ly/2KX7t1i>

115 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, ვებგვერდი, 03/07/2012, 6533-ის, 206-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

- სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს;
- ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას;
- გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს;
- სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;
- პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;
- პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს.

მთავარმა პროკურატურამ 2018 წელს განეული საქმიანობის ანგარიში პარლამენტს 14 მაისს გადაუგზავნა.<sup>116</sup> წამყვან კომიტეტად იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განისაზღვრა. კომიტეტმა, დასკვნის წარმოდგენისთვის დანიშნული ვადის გადადების თხოვნით ბიუროს სამჯერ მიმართა, რომელიც ბიურომ სამჯერვე დაუკმაყოფილა.<sup>117</sup> <sup>118</sup> იურიდიული კომიტეტი, სამივე შემთხვევაში, გადადების მოთხოვნის საფუძვლად უთითებდა სავალდებულო კომიტეტის<sup>119</sup> მიმართვას, რომელიც, თავის მხრივ, გადადებას “ობიექტურ მიზეზთა გამო” ითხოვდა. შედეგად, ანგარიშის განხილვა საშემოდგომო სესიისთვის გადაიდო.

### 2.8.8 ანგარიშები საჯარო ინფორმაციის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს, ყოველი წლის არაუგვიანეს 10 დეკემბრისა პარლამენტს წარუდგინოს<sup>120</sup> ანგარიშები, რომლებიც მოიცავენ შემდეგ საკითხებს:

- საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
- საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;
- საჯარო მოსამსახურეთა მიერ, ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;
- იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების

116 საქართველოს პროკურატურის 2018 წელს განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, <https://info.parliament.ge/#law-drafting/18102>

117 იქვე.

118 2019 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით იურიდიულ კომიტეტს დასკვნა ისევ არ ჰქონდა წარმოდგენილი, კომიტეტმა ბიუროს ვადა 24 ოქტომბერს ერთი თვით კვლავ გაუგრძელა.

119 სავალდებულო კომიტეტად, ბიუროს განსაზღვრული ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ჰყავდა.

120 აგრეთვე, წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

სხდომის დახურვისას;

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;
- საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, მიღებულ ანგარიშებთან დაკავშირებით შეიმუშავებს ერთიან დასკვნას, რომელიც საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე წარედგინება პარლამენტის ბიუროს, რომელსაც საკითხი განსახილველად შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პლენარულ სხდომაზე პარლამენტი იღებს დადგენილებას საჯარო ინფორმაციის შესახებ, ანგარიშების შეფასების და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე.<sup>121</sup>

2018 წლის 10 დეკემბერამდე, პარლამენტში შესულ ანგარიშებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა დასკვნა ბიუროს 2019 წლის 14 ივნისს გადაუგზავნა.<sup>122</sup>

დასკვნის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე საჯარო დაწესებულებებში 85 327 მოთხოვნა შევიდა, ხოლო საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით – 102 განცხადება. მოთხოვნების 64% დაკმაყოფილდა, 846 განცხადება (1%) გადამისამართდა სხვა შესაბამის უწყებაში, ხოლო 30 650 შემთხვევაში (36%) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე.<sup>123</sup>


---

121 ძველი რეგლამენტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოები წარადგენდნენ წლიურ ანგარიშებს, თუმცა კანონი მათ განხილვის ფორმატს არ ითვალისწინებდა.

122 საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი ანგარიშების თაობაზე“ და კომიტეტის დასკვნა, <https://info.parliament.ge/#law-drafting/18409>

123 დასკვნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილი წესით, საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი ანგარიშების თაობაზე, გვ. 10, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224291?>

## დიაგრამა 8. საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის გაცემაზე შესულ მოთხოვნებზე რეაგირება



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 48 გადაწყვეტილება (0,15%) გასაჩივრდა. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ პროცესში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისთვის, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 82 საჯარო მოსამსახურეს.<sup>124</sup>

კომიტეტი დასკვნაში მიუთითებს იმ ხარვეზებზე, რასაც ადგილი ჰქონდა საჯარო დაწესებულებებიდან მიღებულ ანგარიშებში. მათ შორის, მონოდებული ურთიერთსაინააღმდეგო მონაცემები, არასრული ინფორმაცია, არასაჭირო ინფორმაცია და სხვა. კომიტეტი ხაზს უსვამს, მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას. ამასთან, კომიტეტი მოთხოვნილი ინფორმაციის სიმრავლეს ხსნის იმით, რომ ბოლომდე არ არის გამოყენებული ინფორმაციის პროაქტიულად გამოყენების შესაძლებლობები. კომიტეტმა გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრისთვის სამი რეკომენდაცია შეიმუშავა:

- საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ა“-„გ“ პუნქტებში მითითებული ინფორმაციის სრულყოფილად აღრიცხვა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშში სისტემატიზირებული ფორმით ასახვა.
- ყველა საჯარო დაწესებულებამ უზრუნველყოს საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა. ამასთან, მონაცემთა ბაზების ფორმირებისას, უზრუნველყონ მათში არსებული ინფორმაციის დამუშავების შესაბამისობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.
- გაანალიზდეს, თუ რა სახის საჯარო ინფორმაცია არის მეტად მოთხოვნილი და საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყოს ასეთი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.

საბოლოოდ, 28 ივნისს, პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე განიხილა ადამიანის უფლებათა

124 იქვე.




დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა და მიიღო დადგენილება, სადაც დადებითად შეაფასა საჯარო დაწესებულებების წარმოდგენილი ანგარიშები. დადგენილებაში ასევე უცვლელადაა გადმოტანილი კომიტეტის მიერ შემუშავებული სამი რეკომენდაცია.<sup>125</sup>

## 2.9 საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების მიერ განხორციელებული საპარლამენტო კონსტრუქციები

### 2.9.1 დროებითი საგამოძიებო კომისია

დროებითი საგამოძიებო კომისია საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია. კონსტიტუციის 2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებებით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის გადაწყვეტილებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა 76-დან 50-მდე შემცირდა და რეგლამენტის ნაცვლად, კონსტიტუციით განისაზღვრა. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის გამარტივებული პროცედურა, მნიშვნელოვანი ბერკეტია ოპოზიციის როლის გასაზრდელად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცესში.<sup>126</sup>



125 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 4935-III, 28/06/2019, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/225576?>

126 დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცესის გამარტივება, საკონსტიტუციო კომისიის შექმნის პროცესში „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ რეკომენდაციას წარმოადგენდა. იხ. <https://bit.ly/2NPea68>

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ფარგლებში, უმრავლესობის წევრი დეპუტატების მხრიდან მოლოდინი იყო, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის გამარტივება მნიშვნელოვნად გაზრდიდა ოპოზიციური პარტიების მხრიდან მოთხოვნათა რაოდენობას და პოლიტიკური ქულების დასაწერად დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნის შემთხვევებს. პარლამენტის ერთი სესიის ანალიზის შედეგად, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნათა რაოდენობა არ გაზრდილა.

საანგარიშო პერიოდში, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა (29.05.2019) საპარლამენტო ფრაქცია “ნაციონალური მოძრაობის” ინიციატივას - 2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ორი ინიციატივა დარეგისტრირდა:

1. „თიბისი“ ბანკსა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან დაკავშირებულ პირებზე შესაძლო ზენოლის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“ (ინიციატორი ფრაქციები „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ევროპული საქართველო-რეგიონები“)

2. შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“ (ინიციატორი საპარლამენტო ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“)

პლენარულ სხდომაზე საკითხი არ განხილულა, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი დღის წესრიგში შეტანილია. ინტერვიუს დროს, პარლამენტის წევრმა - სალომე სამადაშვილმა აღნიშნა, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურის გამარტივება ყოველგვარ აზრს კარგავს, თუკი პლენარული სხდომის თავმჯდომარე განსახილველად არ გამოიტანს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს და განხილვის გადავადება უსასრულოდ გაგრძელდება. განხილვის გადავადების პრობლემას, “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსთან” საუბარში, ხაზი გაუსვა პარლამენტის წევრმა - გელა მიქაძემაც. ჩვენ დავინტერესდით მიზეზებით. თამარ ჩუგოშვილმა, რომელიც საანგარიშო პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობას იკავებდა, აღნიშნა, რომ საკითხი პლენარულ სხდომაზე არ განხილულა, რადგან ინიციატორს არ მოუთხოვია მისი განხილვა. აღნიშნული მიზეზი დაადასტურა ფრაქცია “ევროპული საქართველო- მოძრაობა თავისუფლებისთვის” წევრმა - ხათუნა გოგორიშვილმა. როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი აღნიშნავს, ვინაიდან საკითხის მხარდასაჭერად საკმარისი ხმების რაოდენობა არ არსებობს, საკითხის ინიციატორი არ ჩქარობს მის კენჭისყრაზე დაყენებას.

აღსანიშნავია, რომ VII და VIII მოწვევის პარლამენტში, უმცირესობის არაერთი ინიციატივის მიუხედავად, არც ერთი საგამოძიებო კომისია არ შექმნილა. მე-8 მოწვევის პარლამენტში (2012-2016 წლები), დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა 13-ჯერ მოითხოვა ოპოზიციამ. IX მოწვევის პარლამენტში, ახალი რეგლამენტის ამოქმედებამდე (პერიოდი 2016 წლის 1 ნოემბერი -2018 წლის 31 დეკემბერი), დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის 12 მოთხოვნა დარეგისტრირდა.<sup>127</sup> ყველა შემთხვევაში, კომისიის შექმნის ინიციატორები, უმცირესობაში შემავალი ან სხვა ოპოზიციური ფრაქციები იყვნენ. კომისია მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიქმნა 2017 წლის 1 დეკემბერს, თბილისში, ხორავას ქუჩაზე, მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტზე.<sup>128</sup> ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ოპოზიციური

127 მე-9 მოწვევის პარლამენტში, დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნის შესახებ ინფორმაცია ვრცლად იხ. საქართველოს პარლამენტის 2018 წლის საქმიანობის შეფასება <https://bit.ly/34OwQK4>, საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასება <https://bit.ly/2Cu2u3v>

128 დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 3 თვით. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სერგი კაპანაძე, რომლის კანდიდატურას 91 პარლამენტის წევრმა დაუჭირა მხარი.

პარტიების მოთხოვნით პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რასაც წინ უძღვოდა საპროტესტო აქციები, მკვლევლობის საქმის გამოძიების მოთხოვნით.

## 2.10 საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია

პარლამენტის დროებითი კომისია იქმნება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის იმ არამუდმივი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც საჭიროებს საკითხის კოლეგიურ შესწავლასა და გადაწყვეტას, ასევე იქმნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით<sup>129</sup>, 2019 წლის 2 აპრილს შეიქმნა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისია.

კომისია 14 წევრისგან<sup>130</sup> შედგება. თავმჯდომარეა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი -ირაკლი ბერაია.

## 2.11 საჯარო სახსრების მართვის კონტროლი

საპარლამენტო გეგამხედველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, საჯარო სახსრების მართვის და საბიუჯეტო პროცესზე კონტროლია. პარლამენტი, ამ უფლებამოსილებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით ახორციელებს. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს საჯარო სახსრების მართვის კონტროლს, პარლამენტის მიერ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ბიუჯეტის შესრულების მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

საჯარო სახსრების მართვის კონტროლის თვალსაზრისით, ახალი რეგლამენტის მიერ დანერგილი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პარლამენტს ორი ანგარიში გადაუგზავნა, ესენია: მოხსენება „2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში.

### 2.11.1 მოხსენება ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, საქართველოს მთავრობა 1 აპრილამდე გადასცემს აუდიტის სამსახურს, რომელიც არაუმეტეს 50 დღეში ამოწმებს მას და ანგარიშის შემოწმების შესახებ მოხსენებას უგზავნის პარლამენტს. მოხსენებას ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად, განიხილავს პარლამენტი და საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე იღებს დადგენილებას, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე.

129 საქართველოს პარლამენტის დადგენილება №4447-III, 02.04.2019, იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2VNRcSi](http://bit.ly/2VNRcSi).

130 კომისიის წევრთა სია იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/3avlyvY](http://bit.ly/3avlyvY).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, მოხსენება 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე, პარლამენტს 20 მაისს გადაუგზავნა,<sup>131</sup> ხოლო მთავრობამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში – 24 მაისს. პარლამენტმა ანგარიში და მოხსენება ერთად განიხილა.<sup>132</sup>

რეგლამენტის მიხედვით, ანგარიშს და მოხსენებას განიხილავს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ხოლო სხვა კომიტეტები მას განიხილავენ, როგორც წესი, მათი სფეროების მიხედვით. ასევე, განიხილავენ ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები.

კომიტეტებმა დასკვნები კანონის ვადის დაცვით გამოაქვეყნეს, ყველა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მთავრობის ანგარიშს და აუდიტის მოხსენებას.<sup>133</sup> საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნა 21 ივნისს გამოქვეყნდა.<sup>134</sup> დასკვნა სულ სამი გვერდისგან შედგება და ის მხარს უჭერს ანგარიშის დამტკიცებას პლენარულ სხდომაზე. ასევე, დასკვნა იზიარებს და იმეორებს აუდიტის სამსახურის მოხსენებაში არსებულ 4 რეკომენდაციას.

27 ივნისს, პლენარულ სხდომაზე, პარლამენტმა მოუსმინა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს - გიორგი კაკაურიძეს, გენერალურ აუდიტორს - ირაკლი მექვაბიშვილს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს - ირაკლი კოვზანაძეს, როგორც ფინანსთა თანამომხსენებელს. განხილვის შედეგად, პარლამენტმა დადგენილებით დაამტკიცა მთავრობის ანგარიში საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.<sup>135</sup>

## 2.11.2 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვალიან ანგარიშის განხილვა

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას.<sup>136</sup> წარუდგენილ მიმოხილვას განიხილავს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ხოლო სხვა კომიტეტები — სფეროების მიხედვით. განხილვის შედეგები, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გადანაცვებით, წარედგინება პარლამენტს და შეიძლება მისი განხილვის საგანიც გახდეს.<sup>137</sup>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტრომ ერთხელ, 30 აპრილს, წარუდგინა პარლამენტს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“.<sup>138</sup> მიმოხილვა ათმა საპარლამენტო კომიტეტმა განიხილა, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა, რომელმაც 23 მაისს შესაბამისი დასკვნაც წარმოადგინა. დასკვნის მიხედვით, კომიტეტმა ცნობად მიიღო სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და არ მიიჩნია საჭიროდ მისი წარდგენა პლენარულ სხდომაზე განსახილველად. თუმცა, კომიტეტმა წარმოადგინა

131 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, <https://info.parliament.ge/#law-drafting/18171>

132 „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე <https://info.parliament.ge/#law-drafting/18189>

133 კომიტეტების დასკვნები „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224680?>

134 საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის დასკვნა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224673?>

135 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, 4865-III, 27/06/2019 <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/225577?>

136 პარლამენტის რეგლამენტი, 141-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

137 იქვე, მე-3 პუნქტი.

138 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა <https://info.parliament.ge/#law-drafting/17948>



წინადადება, რომლის თანახმადაც, მან მიზანშეწონილად მიიჩნია, ყურადღება მიექცეს საგარეო წყაროებიდან მისაღებ შემოსავლების მობილიზაციის საკითხს. ამასთან, კომიტეტი მიუთითებს ბიუჯეტის გადასახდელების ათვისებაში, ზოგიერთი მიმართულებით არსებული ჩამორჩენის აცილების უზრუნველსაყოფად მუშაობის გააქტიურების აუცილებლობისაკენ.<sup>139</sup>

### 2.11.3 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისისა, პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს. ანგარიშს დანართის სახით უნდა ერთოდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის შედეგები. ანგარიშის განხილვის შემდეგ, პარლამენტი იღებს შესაბამის დადგენილებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 2018 წლის საქმიანობის ანგარიში პარლამენტს 2019 წლის 3 ივნისს გადაუგზავნა.<sup>140</sup> ანგარიშს თან ერთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის<sup>141</sup> დასკვნა.<sup>142</sup> პარლამენტის ბიურომ, წამყვან კომიტეტად საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი განსაზღვრა, რომელსაც დასკვნა 25 ივნისამდე უნდა მოემზადებინა. თუმცა, დასკვნის მომზადება საშემოდგომო სესიისთვის გადაიდო. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის შესაბამის ვებგვერდზე არ იძებნება ბიუროს მიერ განხილვის გადავადების გადაწყვეტილება.

### 2.11.4 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვადი გუბერნიული მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფი

ახალი რეგლამენტი ითვალისწინებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვადი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფის შექმნას, რომლის მიზანი პარლამენტის მიერ საჯარო სახსრების კონტროლის ეფექტურობის გაზრდაა. აუდიტის ჯგუფი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრთაგან კომპლექტდება, მათი შემადგენლობა და რაოდენობა კომიტეტის გადაწყვეტილებით განისაზღვრება. რეგლამენტი, ჯგუფის დაკომპლექტების სხვა კრიტერიუმებს არ ადგენს, აუდიტის ჯგუფის ძირითადი საქმიანობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის წარდგენაა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამავე კომიტეტის 7 წევრისგან შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვადი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფი:

1. პაატა კვიციანიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი)
2. ირაკლი ბერაია
3. გოგი მემველიანი
4. გია ბენაშვილი

139 საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2019 წლის 23 მაისის დასკვნა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვაზე.

140 ამით არ დარღვეულა კანონით დადგენილი ვადა, რადგან 1 და 2 ივნისი არასამუშაო დღეები იყო.

141 დასკვნა მოამზადა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა კომპანიამ შპს „დელოიტი და ტუში“.

142 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 80, <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/19554?>



5. ხათუნა გოგორიშვილი

6. რომან გოცირიძე

7. სულხან მახათაძე

რეგლამენტის თანახმად, აუდიტის ჯგუფი ვალდებულია, სესიის განმავლობაში თვეში არანაკლებ ერთი შეხვედრა გამართოს. საგაზაფხულო სესიაზე, აუდიტის ჯგუფმა 4 შეხვედრა გამართა, რომლის განმავლობაშიც, ჯგუფმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს 24 რეკომენდაცია წარუდგინა დასამტკიცებლად.<sup>143</sup> ეს რეკომენდაციები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- სექტორულ სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ანგარიშვალდებულების წინაპირობების უზრუნველყოფა;
- სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივ დანიშნულების ობიექტებში;
- ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები;
- ინფექციის პრევენცია და კონტროლი.

რეკომენდაციის ადრესატები შესაბამისი სამინისტროები და საჯარო სამართლის იურიდიული პირებია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ინტერვიუში, ჯგუფის წევრმა -ხათუნა გოგორიშვილმა ხაზი გაუსვა აუდიტის ჯგუფის ცალსახად დადებით როლს, დეპუტატთა ინფორმირების თვალსაზრისით. ფორმატი უზრუნველყოფს ანგარიშების განხილვას, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ასევე აუდიტის ობიექტი უწყების წარმომადგენლების მონაწილეობით, რაც ყველა სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

## 2.12 ნორმატიული აქტების და ბიუჯეტური დოკუმენტების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი

პარლამენტის კომიტეტები აკონტროლებენ, თავის გამგებლობისთვის მიკუთვნებულ სფეროში პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი რეგულაციის არსებული გავლენის შეფასების (ex-post RIA) საპარლამენტო მექანიზმია.

ამ მიზნით, კომიტეტები შეისწავლიან და აანალიზებენ აღნიშნული ნორმატიული აქტების ეფექტიანობას, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს, განიხილავენ მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ნორმატიული აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშეწყობის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს და იღებენ ზომებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.<sup>144</sup> კომიტეტი ვალდებულია, ყოველწლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვროს ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები, ვადების და პასუხისმგებელი კომიტეტის წევრის მითითებით.

პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია, კომიტეტის მიმართვის საფუძველზე, პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეიტანოს ნორმატიული აქტის აღსრულების საკითხი, სადაც განხილვის შემდეგ მიიღება დადგენილება, რომელშიც შეიძლება აისახოს პარლამენტის შეფასება აქტის

143 საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტისგან 13 სექტემბერს მიღებული N10174/2-7/19 წერილის თანახმად.

144 პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 38-ე მუხლის 1 პუნქტი

აღსრულებასთან დაკავშირებით ან ნორმატიულ აქტში სათანადო ცვლილების მომზადების შესაბამისი კომიტეტისთვის დავალება.<sup>145</sup>

ქვემოთ უფრო დეტალურად აღვწერთ, საანგარიშო პერიოდში კომიტეტების მიერ განხორციელებულ ნორმატიულ აქტების კონტროლის ღონისძიებებს. აღწერილი ღონისძიებების დიდი ნაწილი, კომიტეტებისგან მიღებული ინფორმაციაა, რადგან პარლამენტის ვებგვერდი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას ნორმატიული აქტების კონტროლის ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ვებგვერდს გააჩნია ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის შესაბამისი, სადაც მხოლოდ ორი კომიტეტი — გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ განხორციელებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი გვხვდება.<sup>146</sup>

კომიტეტები, აგრეთვე, ამოწმებენ პარლამენტის ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულებას. თუ დავალებების შესასრულებლად ვადა არ არის დადგენილი, მას კომიტეტი აწესებს. ძველი რეგლამენტისგან განსხვავებით, ახალი რეგლამენტი დამატებით ავალდებულებს კომიტეტებს, შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად მიაწოდოს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, რომელიც შეისწავლის მიღებულ ინფორმაციას და 3 თვეში ერთხელ წარუდგენს მას პარლამენტის ბიუროს.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო კონტროლის ამ მექანიზმის განხორციელების არაეფექტურობას განსაკუთრებით გაუსვავს ხაზი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუების რესპონდენტმა პარლამენტის წევრებმა. ხათუნა გოგორიშვილმა აღნიშნა, რომ არაერთი კანონით განსაზღვრული ვალდებულება წლებია შეუსრულებელია, ამის მაგალითად, მან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მთავრობის ვალდებულება მოიყვანა, რომლის თანახმადაც, ჯერ კიდევ 2016 წელს უნდა მოეხდინა მას „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირება. ეკა ბესელიამ, იმავე პრობლემის საილუსტრაციოდ, მთავრობის მიერ სკოლამდელი დაწესებულების რეფორმის განხორციელების ვალდებულების დარღვევა დაასახელა, რისთვისაც ის აპირებს ინტერპელაციით მიმართოს პრემიერ-მინისტრს. ვიცე-სპიკერ გიორგი კახიანის მოსაზრებით, თითოეული შეუსრულებელი ვალდებულების მიზეზი ინდივიდუალურია და შესაბამისმა კომიტეტმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული საპარლამენტო ინსტრუმენტები, რათა აიძულოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, შეასრულონ კანონით გათვალისწინებული დავალება.

### 2.12.1 აზიანდა საკითხთა კომისია

კომიტეტმა მოგვანოდა ინფორმაცია, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ, თუმცა, არ გვაცნობა თუ რომელი აქტების აღსრულების კონტროლი მოხდა.

კომიტეტმა მოისმინა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობების და 2019 წელს დადგენილი შემდეგი ღონისძიებების შესახებ::

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ეფექტურობაზე;
2. ეპიდოტური კეთილსაიმედოობის შესახებ;
3. მცენარეთა დაცვისა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობის შესახებ,

145 იქვე, 38-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

146 იხ. ხსენებული ბმული, ბოლო წვდომა 2020 წლის 9 იანვარი:  
<http://www.parliament.ge/ge/normatiuli-aqtebis-agrulebis-kontroli>

4. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის 2018 წლის ანგარიში.

### **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალების დადგენილ ვადაში შესრულების კონტროლის მიზნით, 2019 წლის 25 მარტს, კომიტეტმა მოუსმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს - გელა ხანიშვილს. მან, კომიტეტს შემდეგი ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულების შესრულების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია:

1. საქართველოს კანონი „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“. დავალება შესრულებულია მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N118 დადგენილებით.

2. საქართველოს კანონი “ვაზისა და ღვინის შესახებ“. შესრულებულია 4 დავალება შემდეგი კანონქვემდებარე აქტებით:

- მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის დადგენილება N55.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N2-79 ბრძანება.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N2-78 ბრძანება.

3. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. შესრულებულია 2 დავალება შემდეგი კანონქვემდებარე აქტებით:

- მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N605.
- მთავრობის 2018 წლის 23 დეკემბრის დადგენილება N590.

### **2.1.2.2 ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიები**

კომიტეტმა გატარებული ღონისძიებების ნუსხა ნორმატიული აქტების მითითების გარეშე მოგვანოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის“ მონოდებული ინფორმაციის მიხედვით, კომიტეტმა „კონკრეტული მიმართულებებით“ მდგომარეობის შესწავლის შედეგად შესაბამისი ნორმატიული აქტების აღსრულების ეფექტიანობის კუთხით გამოკვეთა ხარვეზები და მათ აღმოსაფხვრელად შექმნა შემდეგი სამუშაო ჯგუფები:

- რელიგიური უმცირესობის წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლისა და მათ დასაძლევად საჭირო ღონისძიებების დასახვის მიზნით;
- ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა, და ოჯახური დანაშაულის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების შემუშავების მიზნით;
- ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით;
- ბუნებრივი აირით სარგებლობისას, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავების მიზნით.

### **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინფორმაციით, კომიტეტმა შეამოწმა ცვლილებები „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონში, სადაც განსაზღვრული იყო დავალებები შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებისთვის. დავალების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

### 2.1.2.3 ბაჩიშვილი და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

კომიტეტი, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მუშაობს ელექტრონულ ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების პროექტზე.<sup>147</sup> კომიტეტი აღნიშნავს, რომ დასკვნით ეტაპზე მოამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს.

ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი გეგმავს:

- დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული დასაბუთებული მოსაზრებების სიღრმისეულ შესწავლას;
- მიღებული დასაბუთებული მოსაზრებებისა და ზეპირი მოსმენების საფუძველზე, კონკრეტული დასკვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას.

ნაკ-ის განხორციელების განმავლობაში, კომიტეტმა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან, მათ შორის შემდეგი ორგანიზაციებისგან, მიიღო მოსაზრებები: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი, თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, ქუთაისის მუნიციპალიტეტი, შსს-ს მომსახურების სააგენტო, „კავკასიის ავტო იმპორტი“, JAC MOTORS და სხვა.

### გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი

გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომიტეტმა ინფორმაცია არ მოგვანოდა.

### 2.1.2.4 განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

კომიტეტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი კანონების აღსრულების მონიტორინგი: „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და „სახელმწიფო ენის შესახებ“.

მოწოდებული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, მის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან და სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან კოორდინაციით, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონების მონიტორინგი. ამ პერიოდში, ჩატარდა 6 სამუშაო შეხვედრა, განხორციელდა 2 ოფიციალური მიმოწერა, ასევე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა წარმოადგინა და ზემოაღნიშნულმა სუბიექტებმა, კომიტეტის წინაშე წარმოადგინეს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის<sup>148</sup> თანახმად, წლის განმავლობაში დაგეგმილია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი. პრიორიტეტულ საკითხებში განიხილება:

147 იხ. შესაბამისი გვერდის ბმული პარლამენტის საიტზე: <https://bit.ly/2OqgbXN>

148 განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა, <https://bit.ly/2OtrMW1>



- ინკლუზიური განათლება ყველა საფეხურზე;
- ზოგადი განათლების დონეზე სახელმძღვანელოების განახლება;
- მასწავლებლის სქემის ცვლილებები და მანდატურის სამსახურის რეფორმა;
- პროფესიული განათლება;
- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა;
- პიროტექნიკის რეგულაციები;
- ჰორიზონ-2020 და ევროკომისიის რეკომენდაციების დანერგვა მეცნიერების დარგში;
- მსოფლიო და ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა.

### **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსთხოვეს ინფორმაციის წარდგენა „პროფესიული განათლების შესახებ“, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონებით განსაზღვრული, შესასრულებელი დავალებების შესახებ. 2019 წლის 26 ივნისს, განათლების სამინისტრომ წარმოადგინა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, დაფიქსირდა „პროფესიული განათლების შესახებ კანონის“ გარდამავალი დებულებების ერთი დავალების შესრულების ვადის გადაცილება ამ ფაქტზე კომიტეტი იმსჯელებს 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე.

### **2.12.5 დანერგვის ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისია**

კომიტეტის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შემდეგი ნორმატიული აქტების აღსრულება შემონმდა:

1. სს „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონი

2019 წლის 27 მაისს კომიტეტმა მოისმინა „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოხსენება ფონდის საქმიანობის შესახებ;

2. სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი

კომიტეტში შეიქმნა „სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის, არქიტექტ.-სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო;

3. „თავისუფალ ინდუსტრიული ზონის შესახებ“ კანონი

გაიმართა 2 შეხვედრა კომიტეტის წევრების, ადგილობრივი და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონის აღსრულების მდგომარეობის შეფასებისა და ცვლილებების შემუშავების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნას. მიღებულ იქნა კერძო სექტორის წარმომადგენლების პოზიციები, კანონის სრულყოფასთან დაკავშირებით. მუშაობის გაგრძელება იგეგმება 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე.

### **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა შეამოწმა 5 ნორმატიული აქტის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული 12 დავალების შესრულების მდგომარეობა. მათგან 10 შესრულებულია, ხოლო 2 კანონქვემდებარე აქტი მომზადების პროცესშია. კომიტეტმა არ მოგვანოდა ინფორმაცია, თუ რომელ ნორმატიულ აქტებზე განხორციელდა ზემოაღნიშნული კონტროლი.



## 2.12.6 დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

კომიტეტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მდგომარეობა;
- საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნის დროებითი უფლების გამოყენება;
- საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა;
- საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება.

გადაწყდა შესაბამის უწყებებთან კონსულტაციების გამართვა და, აუცილებლობის შემთხვევაში, ახალი რეგულაციების ინიცირება. 10 ივნისს დაბარებულ იქნა იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე - მიხეილ სარჯველაძე. კომიტეტების წევრების მიერ, იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ივნისში, ინიცირებულ იქნა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები.

### გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი

კომიტეტს, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში გარდამავალი დებულების შესრულების კონტროლი არ განუხორციელებია.

## 2.12.7 ევროკავშირის ინტეგრაციის კომიტეტი

კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის კონტროლის მიზნით, კომიტეტმა:

1. 2018 წლის 17 დეკემბერს, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან ერთად, მოისმინა სავალდებულო ტექნიკური დათვალიერებისთვის არსებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესრულების მდგომარეობა, რომელიც კომიტეტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მოადგილემ - აკაკი სალირაშვილმა წარუდგინა.

კომიტეტმა, საკითხების მოსმენის შემდეგ, შეიმუშავა დასკვნა,<sup>149</sup> სადაც აისახა ნორმატიული აქტების შესრულების მდგომარეობის გამოკვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და გაიწერა რეკომენდაციები. კომიტეტი ამ თემაზე გეგმავს თემატური მოკვლევის ჩატარებასაც.

2. 2019 წლის 1 თებერვალს, კომიტეტმა მოისმინა საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიში, 2018 წლის თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების მონიტორინგის შესახებ.
3. 2019 წლის 27 მაისს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან ერთად, მოისმინა ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ანალიზი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ.

კომიტეტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა,, კოდექსის მიღების შემდეგ, სამინისტროს მიერ განხორციელებული ერთი

149 დასკვნა არ იქმნება პარლამენტის საიტზე.

წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. საკითხის განხილვის შემდეგ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაციები.

კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, წლის განმავლობაში იგეგმება ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.<sup>150</sup>

### **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტს, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, გარდამავალი დებულების შესრულების კონტროლი არ განუხორციელებია.

### **2.12.8 თავდაცვისა და უშიშროების კომისიები**

კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში აღსრულების კონტროლი განხორციელდა „იარაღის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონებზე.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მთელი რიგი ლიცენზიების გაცემა ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, სამართლებრივი აქტების შესწავლის შემდგომ, მიზანშეწონილად ჩაითვალა სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, რეკომენდაციის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების დაზუსტება. ამასთანავე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიას, მაგრამ კანონით არ არის დარეგულირებული სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გამცემი ორგანო.

გემოლნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები „იარაღის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონებში.

### **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტმა, 5 ნორმატიულ აქტში, 7 გარდამავალი დებულების შესრულება შეამოწმა, კერძოდ:

1. „სამოქალაქო უსაფრთხოების“ შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონი - გარდამავალი დებულებით განსაზღვრული ვალდებულება შესრულდა დაგვიანებით;<sup>151</sup>
2. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონი - შემოწმდა ორი დავალების შესრულება:
  - 2019 წლის 1 მარტამდე შსს-ს უნდა მიეღო ნორმატიული აქტი,<sup>152</sup> რაც არ შესრულდა. თუმცა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მისი ინფორმაციით, პროექტი შემუშავებულია და მიმდინარეობის შეთანხმება შესაბამის უწყებებთან.

150 საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019, <http://parliament.ge/uploads/other/118/118398.pdf>

151 კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული კომისია, ნაცვლად არაუგვიანეს 2019 წლის 10 იანვრისა, შექმნა 22 იანვარს (მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N85 განკარგულება).

152 „ერთიან სატელეფონო ნომერზე – „112“-ზე – შესული შეტყობინების შესახებ ინფორმაციის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შესაბამისი მორეაგირე ორგანოსათვის მიწოდებისას და ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების განხორციელებისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შესაბამის მორეაგირე ორგანოს შორის კოორდინაციის წესის დამტკიცების თაობაზე“.

- იმავე ვადაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს უნდა გამოეცა შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც შესრულებულია.<sup>153</sup>

3. „არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონი - შემოწმდა ორი ნორმით გათვალისწინებული გარდამავალი დებულების შესრულება:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 1 მარტამდე უნდა მიეღო შესაბამისი ნორმატიული აქტი,<sup>154</sup> რაც შესრულებულია.<sup>155</sup>
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს უნდა უზრუნველყო სამსახურში არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, არაუგვიანეს 2019 წლის 1 მარტისა, რაც კომიტეტის ინფორმაციით შესრულებულია.

4. „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს კანონი - მთავრობას 2019 წლის 1 მაისამდე უნდა მიეღო გარდამავალი დებულებით გათვალისწინებული ორი დადგენილება,<sup>156</sup> რაც არ შესრულდა და მიმდინარეობს პროექტის შემუშავების პროცესი.

5. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის შესახებ“ კანონში, ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი - შემოწმდა ერთი გარდამავალი დებულების შესრულების მდგომარეობა, რომლის თანახმადაც, მთავრობას დაევალა 2019 წლის 3 ივლისამდე ორი დადგენილების მიღება.<sup>157</sup> მთავრობამ, 2019 წლის 17 ივლისს მიიღო შესაბამისი დადგენილებები, რითაც დაირღვა კანონით დაწესებული ვადა.

## 2.12.9 იურიდიულ საკითხთა კომისია

კომიტეტმა, ნორმატიულ აქტების აღსრულების კონტროლთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოგვანოდა.<sup>158</sup>

153 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მონაცემთა ბაზაში წინასწარ დარეგისტრირებული, შესაბამისი უნარების მქონე ვეტერანების მობილიზებისა და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში ჩართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სამსახურის უფროსის, 2019 წლის 28 თებერვლის N528458 ბრძანება.

154 „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დანაყოფებში არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლასა და სპეციალურ მომზადებასთან დაკავშირებული დამატებითი წესების დამტკიცების შესახებ“ შსს მინისტრის ბრძანება.

155 კომიტეტისგან მიღებული ინფორმაციით, „მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის უწყებებთან“.

156 „სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურისა და დაგროვების ოდენობის დამტკიცების შესახებ“.

157 „ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ და „ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის მოსამსახურის სამსახურში მიღების, მისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭების, მის მიერ სამსახურის გავლის წესისა და პირობების შესახებ“.

158 პასუხი შეიცავდა ზოგად ინფორმაციას: „უნდა აღინიშნოს საპარლამენტო კონტროლის ჯეროვნად განხორციელების მიზნით კომიტეტის ძალისხმევა ანალიტიკური საქმიანობის გასაძლიერებლად, რამაც განაპირობა კომიტეტის აპარატის ფარგლებში ანალიტიკური ჯგუფის შექმნა. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ფუნქცია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესწავლა და ანალიზია. შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ამ ჯგუფის მეშვეობით უფრო ეფექტიანად და ინტენსიურად აგრძელებს მისი გამგებლობისთვის მიკუთვნებულ სფეროებში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის კონტროლს.“. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მხრიდან პასუხის დაკონკრეტების მოთხოვნის შემდეგ მიგვითითეს კომიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაზე, სადაც ასევე არ იძებნება ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებზე.

## **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა შეამოწმა 6 ნორმატიული აქტის გარდამავალი დებულებით განსაზღვრული 7 დავალების შესრულება. ამ დავალებებიდან შესრულებული 4 დავალება იყო, ხოლო 3 დავალების შესრულებაზე მიმდინარეობდა მუშაობა. კომიტეტს, ნორმატიული აქტის აღსრულების საკითხის პარლამენტის პლენარულ სხდომის დღის წესრიგში შესატანად, პარლამენტის ბიუროსთვის არ მიუმართავს.

### **2.12.10 ჩეხეთის რესპუბლიკისა და თვითმმართველობის კომისია**

კომიტეტი, საანგარიშო პერიოდში, მუშაობდა შემდეგი ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლზე:

1. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

კოდექსის აღსრულების კონტროლის პროცესში, კომიტეტმა გამართა გასვლითი სხდომა, რომლის დიდი ნაწილი გარდა ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლისა, მიეძღვნა გარდამავალი დებულებების შესრულების მდგომარეობის შესწავლას.

2. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.

კომიტეტის ინფორმაციით, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ყოველი წლის პირველ დეკემბრამდე კომიტეტს უგზავნის ოფიციალურ ინფორმაციას „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ხოლო არაოფიციალურ ინფორმაციას - ყოველი წლის 10 ივლისამდე, მიწოდებულ ინფორმაციაში ასახულია შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში მიმდინარე მუშაობა, მთის კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების ანალიზი.

კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობისა და ანალიზისთვის, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კომიტეტის გასვლითი სხდომები და მოქალაქეებთან შეხვედრები ადგილებზე (2018 და 2019 წელს კომიტეტმა სულ 6 გასვლითი სხდომა ჩაატარა.).

## **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტის ინფორმაციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კოდექსის სამი მუხლით<sup>159</sup> გათვალისწინებული გარდამავალი დებულების შესრულების შესწავლის მიზნით, სათანადო მიმართვები გაეგზავნა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. როგორც პასუხისმგებელ ორგანოს, რამდენჯერმე მიემართა იუსტიციის სამინისტროს.<sup>160</sup> რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა დავალების შესრულების მდგომარეობასა და ვადების თავიდან განსაზღვრაზე. კომიტეტის ინფორმაციით, საშემოდგომო სესიაზე დაგეგმილია საკომიტეტო მოსმენა, სადაც მოწვეული იქნება რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროები.

### **2.12.11 საფინანსო-საბიუჯეტო კომისია**

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომიტეტს, საანგარიშო პერიოდში, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი არ განუხორციელებია.

159 162-ე, 163-ე და 165-ე მუხლები.

160 იხილეთ 162-ე მუხლი.



## **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტმა, ნორმატიული აქტის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული 6 დავალების დადგენილ ვადაში შესრულება შეამოწმა, საიდანაც ერთზე დაფიქსირდა შეუსრულებლობა, ხოლო ორზე - ვადაში შეუსრულებლობა, რაც, კომიტეტის თქმით, მალევე გამოსწორდა. კომიტეტმა მხოლოდ შეუსრულებელი აქტის შესახებ მოგვანოდა ინფორმაცია:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობას, 2019 წლის 1 ივლისამდე უნდა შეემუშავებინა საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტი. ასევე, კომიტეტის ინფორმაციით, შემუშავებულია პროექტი და შემოდგომაზე უნდა მოხდეს მისი მიღება.<sup>161</sup>

### **2.12.12 საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი**

კომიტეტისგან მიღებული პასუხის თანახმად, კომიტეტი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, რეგულარულად იღებს ინფორმაციას, საგარეო საქმეთა სამინისტროდან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების (შეწყვეტის, შეჩერების) შესახებ. დამატებითი აქტივობები კომიტეტის მხრიდან არ განხორციელებულა.

## **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტმა გვაცნობა, რომ საანგარიშო პერიოდში გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული დავალებების შესრულება არ გაკონტროლებულა.<sup>162</sup>

### **2.12.13 საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი**

ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლთან დაკავშირებით, კომიტეტის პასუხის თანახმად, „[...] სისტემატიურად ხორციელდება მის კომპეტენციაში შემავალი ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი“, თუმცა, კომიტეტმა არ მოგვანოდა ინფორმაცია, თუ რომელი ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლი და რა აქტივობები განახორციელეს კონტროლის პროცესში.

## **გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი**

კომიტეტები, გარდამავალი დებულებით გათვალისწინებული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ყოველთვიურად აწვდიან საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, რომელიც შეისწავლის მიღებულ ინფორმაციას და, 3 თვეში ერთხელ, წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

161 1-ელი დეკემბრის მონაცემებით, საკანონმდებლო აქტი შემუშავებული არ არის.

162 იხ. კომიტეტის პასუხის ზუსტი ციტატა: „წერილში მოთხოვნილი პერიოდის განმავლობაში, კომიტეტში განხილული კანონპროექტების გარდამავალი დებულებებით არ ყოფილა გათვალისწინებული კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში შემავალი დავალებების კონტროლი.“



კომიტეტმა შეამოწმა 6 ნორმატიული აქტით განსაზღვრული 7 დავალება

აქედან 4 დავალება შესრულებული იყო ხოლო 3-ზე მიმდინარეობდა მუშაობა

ასევე, კომიტეტმა, პარლამენტის რეგლამენტით დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად, მოამზადა და ბიუროს წარუდგინა შემდეგი ინფორმაცია:

- 2016 წლის 18 ნოემბრიდან, 2019 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, საქართველოს კანონებსა და პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს კანონებისა და პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებები, რომლებიც შესრულდა 2018 წლის 7 დეკემბრიდან - 2019 წლის 5 აპრილამდე პერიოდში ვადაში, ან შესრულების ვადის გასვლის შემდეგ.<sup>163</sup>

გარდა ამისა, კომიტეტს, ყველა მიღებული ინფორმაცია, რომელიც გარდამავალი დებულებით განსაზღვრული დავალების შესრულების კონტროლს ეხება, პარლამენტის საიტის შესაბამის გვერდზე აქვს განთავსებული.<sup>164</sup>

#### 2.12.14 სპონსორისა და ახადგაზრდელ საქმეთა კომისია

კომიტეტის ინფორმაციით, მას საანგარიშო პერიოდში ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი არ განუხორციელებია, ხოლო გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლზე ინფორმაცია არ მოგვანოდა.

#### 2.12.15 ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომისია

კომიტეტმა, ნორმატიული აქტების კონტროლი, ორ კანონთან მიმართებაში დაგეგმა: „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი“. საანგარიშო პერიოდში, ნორმატიული აქტების კონტროლის პროცესი დასრულებული არ იყო.

ნააკ-ის პროცესში, კომიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები ორივე კანონთან მიმართებით:

- მოხდა საკითხების იდენტიფიცირება;
- შეიქმნა სამუშაო ჯგუფები;
- განისაზღვრა დაინტერესებული მხარეები;

163 „საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ინფორმაცია, 2016 წლის 18 ნოემბრიდან, 2019 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, საქართველოს კანონებისა და დადგენილებების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ“, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17797>

164 იხ. შესაბამისი ბმული: <https://bit.ly/2LgGtK9>

- შემუშავდა კითხვები, სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმა და ნააკ-ის ტექნიკური მოთხოვნები;
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან;
- დაინტერესებულ მხარეებს მიენოდათ შემუშავებული კითხვები, რომლებზე მოსაზრებები უნდა წარმოედგინათ კომიტეტისთვის, ნააკ-ის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად;
- ნააკ-ის შესახებ სრული ინფორმაცია: შემუშავებული კითხვები, სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა, ნააკ-ის ტექნიკური მოთხოვნები და შემოსული პასუხები ატვირთულია პარლამენტის ვებ-გვერდზე.<sup>165</sup>

*„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლთან დაკავშირებული აქტივობები*

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონმდებლობის აღსრულების თაობაზე, ინფორმაციის გაცნობის მიზნით, კომიტეტში შექმნილი ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, 11 მარტსა და 30 მაისს გაიმართა შეხვედრა.

მიღებულია პასუხები შემდეგი უწყებებიდან:

- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი;
- ააიპ საქართველოს რესტორატორთა ასოციაცია;
- საქალაქო სასამართლო;
- ფინანსთა სამინისტრო.

აღწერილი ღონისძიებების შედეგად, შემუშავდა ნააკ-ის დასკვნა, რომელმაც, ამავე დროს, თემატური მოკვლევის სახეც შეიძინა.<sup>166</sup>

*„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლთან დაკავშირებული აქტივობები:*

- 2019 წლის 25 მარტს, პროექტთან დაკავშირებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან;
- მათ მიენოდათ შემუშავებული კითხვები, რომლებზეც მოსაზრებები უნდა წარმოედგინათ, კომიტეტისთვის ნააკ-ის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად;
- დაინტერესებულ მხარეებად განისაზღვრა 13 უწყება;
- აღნიშნული 13 უწყებიდან, სამუშაო ჯგუფის მიერ გაგზავნილ კითხვებზე, პასუხები შემოვიდა 10 მათგანიდან;
- ზეპირი მოსმენის ჩატარება დაგეგმილია მიმდინარე წლის სექტემბერში.

165 იხ. ბმულები: „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის აღსრულება - ხარისხიანი სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობა საქართველოში, <https://bit.ly/2QlaWki>; „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულება, <https://bit.ly/2CRcfso>

166 იხ. ბმულზე: <https://bit.ly/355rsSY>

## გარდამავალი დებულებების შესრულების კონტროლი

ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულების შემონგების ფარგლებში, კომიტეტმა სამი ნორმატიული აქტი შეამოწმა:

1. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე,<sup>167</sup> საქართველოს კანონის თანახმად: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, 2019 წლის 1 ივლისამდე უნდა დაამტკიცოს „უცხო ქვეყნის სპეციალისტებისთვის საქართველოში დროებითი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის ან ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების უფლების მიცემის წესი.“ სამინისტროს მიერ მომზადდა ბრძანების პროექტი.

კომიტეტის ინფორმაციით, სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილებების გათვალისწინებით, მოცემულ პროექტზე მიმდინარეობს ხელახალი მსჯელობა და კონსულტაციების დასრულების შემდგომ, განხორციელდება შეთანხმებული პროექტის მიღება/დამტკიცება.

2. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად,<sup>168</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით საქართველოს მთავრობას 2018 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყო ამ კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივი აქტის მიღება.

გარდამავალი დებულებით გათვალისწინებული აქტი მომზადებული და წარდგენილი იყო მთავრობის მთავარ სხდომაზე განსახილველად, თუმცა, საგაბაფხულო სესიის განმავლობაში, მისი დამტკიცება არ მომხდარა.

3. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის თანახმად, სსიპ - საპენსიო სააგენტოს, 2018 წლის 1 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყო ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღება.<sup>169</sup>

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს მიღებული ჰქონდა სამი აქტი - დირექტორის ბრძანება:

1. „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა განვერიანების წესის დამტკიცების შესახებ.“

2. „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და მარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.“

3. „პენსიის და საპენსიო აქტივების გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.“

## 2.13 თემატური მოკვლევა

საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტი ითვალისწინებს საპარლამენტო კონტროლის ახალ მექანიზმს - თემატურ მოკვლევას. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით,

167 მე-2 მუხლი

168 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=2>

169 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4280127>

პარლამენტის წევრთაგან, კომიტეტის ან პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს გადანყვეტილებით, შეიძლება დაინიშნოს თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს.

თემატური მოკვლევის ჯგუფი, მოკვლევის დაწყებიდან 2 თვის ვადაში ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს ან კომიტეტს. ეს ვადა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით. დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი კომიტეტი ან პარლამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან ახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. კომიტეტის, პარლამენტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ან/და დავალებები ეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

თემატური მოკვლევის ჯგუფების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პარლამენტის ვებ გვერდზე,<sup>170</sup> თუმცა, არასრულად.

საანგარიშო პერიოდში, შემდეგი თემატური მოკვლევის ჯგუფები შეიქმნა:<sup>171</sup>

კომიტეტი	თემატური მოკვლევის ჯგუფი
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. შრომის უსაფრთხოების კუთხით, საქართველოში არსებული გამოწვევები<sup>172</sup></li> <li>2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის საკითხებზე.<sup>173</sup></li> </ol>
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ<sup>174</sup></li> <li>2. მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.<sup>175</sup></li> </ol>
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი	სამოქმედო გეგმის თანახმად, დაგეგმილი აქვს ორი თემატური მოკვლევის ჩატარება. საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა საკითხების შერჩევა. ერთ-ერთი საკითხი შეეხება პროფესიული განათლების სისტემაში განსახორციელებელ რეფორმებს.
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.<sup>176</sup></li> </ol>

170 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2TssaGJ](http://bit.ly/2TssaGJ).

171 ინფორმაცია ეყრდნობა პარლამენტის ვებგვერდზე არსებულ მონაცემებს და კომიტეტებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას.

172 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2PSxO34](http://bit.ly/2PSxO34)

173 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/32Tlxk4](http://bit.ly/32Tlxk4)

174 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/39uXs5A](http://bit.ly/39uXs5A)

175 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2Tt5pTd](http://bit.ly/2Tt5pTd)

176 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/3azolpe](http://bit.ly/3azolpe)

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> <li>ქართული ისტორიული დიასპორების წინაშე არსებული გამოწვევები და არსებული პრობლემები. მათი გადაჭრის მექანიზმების შემუშავება</li> <li>თანამედროვე ქართული დიასპორული ორგანიზაციები და მათი კონსოლიდირებული საქმიანობის უზრუნველყოფა.</li> </ol>
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	გვემავს თემატური მოკვლევის ჩატარებას, სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის განხორციელების შესახებ.
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> <li>დემინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხების შესახებ<sup>177</sup> (თემატური ჯგუფი გაერთიანდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან).</li> </ol>
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> <li>დემინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხების შესახებ (თავდაცვის კომიტეტთან ერთად).</li> </ol>
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი	დაგეგმილი აქვს თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნა “სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის 2014-2020” შესრულების მდგომარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.
გენდერული თანასწორობის საბჭო	<ol style="list-style-type: none"> <li>სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ<sup>178</sup></li> <li>პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის.<sup>179</sup></li> </ol>
ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	<ol style="list-style-type: none"> <li>სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტები და პრაქტიკები.<sup>180</sup></li> </ol>

პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის თანახმად, არ არის განერილი თემატური მოკვლევის ზუსტი პროცედურა. მე-7 პუნქტში აღნიშნულია, რომ თემატური მოკვლევის ფარგლებში, სავალდებულოა გაიმართოს საკითხის მოსმენა, რომელზეც მოწვეულნი იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომლებსაც უშუალოდ ეხება საკითხი. თუმცა, ვინაიდან, მოსმენის პროცედურა ზუსტად არ არის განერილი, იყო შემთხვევა, (მაგ. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევა - სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტები და პრაქტიკა), როდესაც, თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული მოსმენის დროს, მოწვეულ ექსპერტებს არ მიეცათ კითხვის დასმის შესაძლებლობა. მოსმენის ჩატარების ამგვარი პროცედურა რეგლამენტით იყო ახსნილი.

თემატური მოკვლევის კანონით დადგენილი პროცედურის შესახებ, ჩვენთან საუბარში, შენიშვნა გამოთქვა თამარ ჩუგოშვილმა. მისი მოსაზრებით, რეგლამენტის პრაქტიკაში ამოქმედების შედეგად გამოიკვეთა, რომ თემატური მოკვლევის მაქსიმუმ 3 თვიანი ვადა ყოველთვის საკმარისი

177 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/3az3KkC](http://bit.ly/3az3KkC)

178 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2Tubpez](http://bit.ly/2Tubpez)

179 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2Trz3Z6](http://bit.ly/2Trz3Z6)

180 იხ. შემდეგ ბმულზე, [bit.ly/2TGyrxK](http://bit.ly/2TGyrxK)




არ არის, პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე. ამიტომ, უკეთესი იქნება, კანონით არ იყოს დადგენილი შემზღუდველი ვადა და ინიციატორმა, საკითხის დაყენებისას, თვითონ განსაზღვროს, თუ რა ვადით არის მიზანშეწონილი თემატური მოკვლევის ჩატარება.

## 2.14 საპარლამენტო კონსტიტუციური საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საქმონი

### 2.14.1 ნდობის ჯგუფის საქმიანობა

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საქმიანობას, პარლამენტი აკონტროლებს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფის და დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მეშვეობით. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს კონტროლის პროცესში, ნდობის ჯგუფის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან პარლამენტში, სწორედ ნდობის ჯგუფია ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოსთან სრული დაშვება გააჩნია.



საქართველოს პარლამენტის ახალმა რეგლამენტმა, გააუმჯობესა უსაფრთხოების სფეროზე საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები, თუმცა, საპარლამენტო კონტროლი კვლავ სუსტი დაარაფეფეტურია. პარლამენტის ახალი რეგლამენტის მიღებით, გაუქმდა “ნდობის ჯგუფის შესახებ” კანონი, და უსაფრთხოების სისტემის მარეგულირებელი ნორმები ახალ რეგლამენტში გადმოვიდა. ახალი რეგლამენტის შემუშავების პროცესში, უსაფრთხოების სისტემის ზედამხედველობის მიმართულებით, არ იქნა გათვალისწინებული არასამთავრობო ორგანიზაციების და მათ შორის “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” რეკომენდაციები, რომელიც ნდობის ჯგუფის მანდატის გაზრდას და მის საქმიანობაში ექსპერტთა ჩართულობას შეეხებოდა.<sup>181</sup>

181 ვრცლად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ რეკომენდაციები იხილეთ პუბლიკაციაში „პარლამენტის რეგლამენტის პროექტი უსაფრთხოების სექტორის კონტროლის არასაკმარის მექანიზმებს ითვალისწინებს“ <https://bit.ly/32EtwQa>, ასევე, კვლევა „უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში“ <https://bit.ly/2S8GVN1>

## ნდობის ჯგუფის უზღავანების უზრუნველყოფა

კონტროლის სფეროში შემავალი უწყებები, ნდობის ჯგუფს, წარუდგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს გარდა, კონტროლის სფეროში შემავალი უწყებები, წელიწადში ერთხელ წარუდგენენ წინა წლის საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო ანგარიშს

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო - ყოველწლიურად წარუდგენს მის მიერ გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს

საიდუმლო ნორმატიული აქტის მიღების შემთხვევაში, ყველა უწყება ვალდებულია, ნდობის ჯგუფს გააცნოს აქტი, თუ ის უწყების სტრუქტურისა და ქვედანაყოფების ამოცანების შესახებ ინფორმაციას შეიცავს.

ამონშებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ

კონტროლის სფეროში შემავალი უწყებები, ვალდებული არიან, წარადგინონ ინფორმაცია განსახორციელებელი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 ლარს

## ნა ინფორმაციაზე ან აქვს წვდომა ნდობის ჯგუფს

მიმდინარე საქმეებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაცია

ისეთი ინფორმაცია, მათ შორის, ნორმატიული აქტის მიწოდება, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის ფარულ ფორმებთან და მეთოდებთან

საანგარიშო პერიოდში, ნდობის ჯგუფის შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილება, რისი მიზეზიც უმრავლესობასა და უმცირესობაში შემავალ ფრაქციებში განხორციელებული ცვლილებები იყო. 2019 წლის 25 თებერვალს, ეკა ბესელია, რომელიც უმრავლესობის კვლით იყო ნდობის ჯგუფის შემადგენლობაში, გავიდა უმრავლესობიდან. ასევე, 2019 წლის 11 მარტს დაიშალა უმცირესობა. შესაბამისად, უმცირესობის კვლით, ნდობის ჯგუფს გამოეთიშა კიდევ ერთი წევრი.

ამის შემდეგ, საჭირო გახდა რეგლამენტში ცვლილების შეტანა, რომელიც გაითვალისწინებდა ნდობის ჯგუფის დაკომპლექტების წესს, უმცირესობის არარსებობის შემთხვევაში.<sup>182</sup>

საანგარიშო პერიოდში, ნდობის ჯგუფმა, საპარლამენტო ზედამხედველობის მიზნით, შემდეგი აქტივობები განახორციელა:

- ნდობის ჯგუფის თავმჯდომარემ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებს მოსთხოვა ინფორმაცია, წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ. პარლამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, 2018 წლის 6 დეკემბრიდან 2019 წლის პირველ აგვისტომდე, ერთხელ წარადგინა ინფორმაცია;<sup>183</sup>
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, განსახორციელებელი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია ნდობის ჯგუფს ოთხჯერ, ხოლო არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია - ორჯერ წარუდგინა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს;
- 2019 წელს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ- ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ, ნდობის ჯგუფს წარუდგინა სააგენტოს მიერ განეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში.

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის სისუსტეს, ინტერვიუს დროს, ხაზი გაუსვეს: თამარ ჩუგოშვილმა, ეკა ბესელიამ, ხათუნა გოგორიშვილმა, სალომე სამადაშვილმა და გელა მიქაძემ. თამარ ჩუგოშვილმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობა ახალი რეგლამენტით გაუმჯობესდა, თუმცა, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და რეგლამენტის მიღების პროცესშიც არაერთხელ აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით, მუშაობა უნდა გაგრძელდებოდა. პარლამენტის წევრმა - ეკა ბესელიამ ხაზი გაუსვა ნდობის ჯგუფის საქმიანობაში ექსპერტთა ჩართულობის მნიშვნელობას და მიზანშეწონილად მიიჩნია, მათი პერმანენტული მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორის კონტროლის პროცესში, რადგან პარლამენტის წევრთა კომპეტენცია, ხშირად არ არის საკმარისი უსაფრთხოების სფეროს სრულფასოვანი ზედამხედველობისთვის.

---

182 პარლამენტის რეგლამენტის 157-ე მუხლის თანახმად, ნდობის ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან ერთი არის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ერთი - უმრავლესობის წევრი, ერთი - მაჟორიტარული სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მეტის მხარდაჭერის მქონე პარლამენტის წევრი, ერთი - უმცირესობის წევრი, ერთი - უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთაგან მეტის მხარდაჭერის მქონე პარლამენტის წევრი, ხოლო უმცირესობის არარსებობის შემთხვევაში - უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთაგან მეტის მხარდაჭერის მქონე 2 პარლამენტის წევრი.

183 პარლამენტიდან, ჩვენი კითხვის პასუხად გამოგზავნილი წერილი არ იძლევა ინფორმაციას, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალმა სხვა უწყებებმა წარუდგინეს თუ არა ნდობის ჯგუფს მოთხოვნილი ინფორმაცია.

## თავი III. ჩაკონტროლები

პარლამენტის ახალი რეგლამენტით, საპარლამენტო ზედამხედველობის ახალი მექანიზმების შემოღება, ისევე როგორც საპარლამენტო კონტროლის მარეგულირებელი ნორმების დახვეწა, დადებითად აისახა საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაზე. პროგრესი განსაკუთრებით საპარლამენტო კონტროლის რაოდენობრივ მაჩვენებლებს დაეყვო, მაგ. მთავრობის წევრები, უფრო ხშირად ესწრებიან კომიტეტის და პლენარულ სხდომებს, ფრაქციები უფრო ხშირად იბარებენ ანგარიშვალდებული ორგანოების ხელმძღვანელებს, პარლამენტის წევრები უფრო ხშირად იყენებენ სადეპუტატო კითხვის უფლებას.

კვლავ პრობლემად რჩება საპარლამენტო კონტროლში ოპოზიციის სათანადო ჩართულობის გარანტიების არარსებობა და როგორც დეპუტატების, ასევე მთავრობის წევრთა ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესში. არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი, საკანონმდებლო ნორმებთან ერთად, საპარლამენტო ზედამხედველობის ტრადიციის არარსებობაა.

ახალი რეგლამენტის ამოქმედებამ გამოავლინა პრაქტიკაში არსებული პრობლემები, რაც, რიგ შემთხვევაში, რეგლამენტის ნორმის არასწორი განმარტებით ან კანონმდებლობის ხარვეზით არის განპირობებული.

საპარლამენტო კონტროლის გაუმჯობესებისათვის, მნიშვნელოვანია კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- პარლამენტის წევრები, როგორც მმართველი პარტიის და ოპოზიციის წარმომადგენლები, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს არ უნდა იყენებდნენ მხოლოდ ვიწრო პარტიული მიზნებისთვის და საპარლამენტო ზედამხედველობა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე უნდა ხორციელდებოდეს;
- აუცილებელია, საპარლამენტო კონტროლის პროცესში, ოპოზიციის როლის გაზრდა. მიზანშეწონილია, სულ მცირე, ერთი კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციის წარმომადგენელი იყოს. პარლამენტის მიერ, მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნისას, პოლიტიზირებული გადაწყვეტილების თავიდან ასაცილებლად, ოპოზიციურ ფრაქციებთან კონსულტაცია სავალდებულო უნდა იყოს და რეგლამენტში გაიწეროს მათთან კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების წესი;
- ანგარიშვალდებულმა ორგანოებმა და მთავრობის წევრებმა, ხელი უნდა შეუწყონ პარლამენტს კონტროლის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებაში, კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოეკიდონ კონსტიტუციითა და რეგლამენტით განწერილ საპარლამენტო კონტროლის პროცედურებს. (მაგ. პლენარული სხდომის წინაშე წარდგომა არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო წესით მიწვევისგან თავის არიდების საშუალება, დროულად და სრულყოფილად სცემდნენ პასუხს სადეპუტატო კითხვებს);
- კანონმდებლობაში გაიწეროს რეაგირების მექანიზმები, როდესაც მთავრობის წევრი არ იღებს მონაწილეობას საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესში. თუ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირი არ პასუხობს წერილობით კითხვას, დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, კომიტეტმა საკითხი უნდა შეიტანოს დღის წესრიგში და მინისტრი ვალდებული უნდა იყოს, გამოცხადდეს კომიტეტის სხდომაზე. თუ მინისტრი ან პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირი, მონწვევის შემთხვევაში, არ ესწრება კომიტეტის სხდომებს, შესაძლოა, ამ შემთხვევაში, ფულადი ჯარიმის სისტემაც მოქმედებდეს, პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან ერთად;

- გაძლიერდეს უსაფრთხოების სისტემაზე საპარლამენტო კონტროლი. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შეიქმნას ექსპერტთა საბჭო, რომელიც პერმანენტულ რეჟიმში გააკონტროლებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის წინაშე; სახელმწიფო საბჭოს წევრები, უნდა ირჩეოდნენ პარლამენტის მიერ; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საიდუმლო და ღია ანგარიშს წარადგენდეს, ღია ანგარიში პლენარულ სხდომაზე განიხილებოდეს ხოლო საიდუმლო ანგარიშს ნდობის ჯგუფი განიხილავდეს;
- პარლამენტის კომიტეტები, კანონით დადგენილ ვადებში უნდა განიხილავდნენ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებს. კომიტეტების მხრიდან, ანგარიშების განხილვის და დასკვნების მომზადების კანონით დადგენილი ვადების გადაწევა, მხოლოდ საგამონაკლისო წესით და სათანადო დასაბუთების არსებობის შემთხვევაში უნდა ხდებოდეს.
- მნიშვნელოვანია, პარლამენტმა განახორციელოს მონიტორინგი, საჯარო დაწესებულებების მიერ აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულებაზე და საკითხი დეტალურად განიხილებოდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე;
- მინისტრის საათის თემატიკა არ უნდა იყოს შემოსაზღვრული მხოლოდ სამთავრობო პროგრამის განხორციელების მიმდინარეობით, და უნდა ეხებოდეს სამინისტროს გამგებლობის სფეროში არსებულ ყველა აქტუალურ საკითხს. საგაზაფხულო სესიის პრაქტიკით, მინისტრის საათის დროს, მთავრობის წევრები არ იფარგლებოდნენ სამთავრობო პროგრამით და დეპუტატების დასმულ ყველა კითხვას პასუხობდნენ. მიზანშეწონილია, უკვე დამკვიდრებული კარგი პრაქტიკა, კანონმდებლობით გამყარდეს;
- პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური და რიგგარეშე ანგარიშის წარდგენის, ასევე მინისტრის საათის შემდეგ, დებატები უნდა იმართებოდეს;
- უმჯობესია, ინტერპელაცია თვეში ერთხელ ტარდებოდეს და საჭიროების შემთხვევაში მომდევნო დღეს გრძელდებოდეს. ასევე, შეიცვალოს, პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის პროცედურის არსებული პრაქტიკა, როდესაც ერთი შეკითხვისთვის გამოყოფილი დროის შემცირება ხდება შეკითხვების რაოდენობის პროპორციულად;
- გამარტივდეს მთავრობის წევრის და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა თანამდებობის პირის კომიტეტზე დაბარების პროცედურა. არსებული ჩანაწერით, თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დასწრებიდან ორი თვის ვადაში სავალდებულო წესით მონწილევა, მხოლოდ კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობას შეუძლია. მიზანშეწონილია, შემზღვეული ვადა ორი თვიდან ერთ თვემდე შემცირდეს;
- რეგლამენტში გაიწეროს ვალდებულება, საგამოძიებო კომისიის შექმნიდან, არაუმეტეს ერთ თვეში დადგეს საკითხი პლენარულ სხდომაზე განსახილველად.
- გაიზარდოს თემატური მოკვლევისათვის რეგლამენტით დადგენილი მაქსიმუმ 3 თვიანი ვადა და ინიციატორმა განსაზღვროს, თუ რა ვადით არის მიზანშეწონილი თემატური მოკვლევის ჩატარება. რეგლამენტით გაიწეროს თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული მოსმენის პროცედურა, სადაც მონვეულ ექსპერტებსა და დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ მოსმენის პროცესში და დასვან შეკითხვები;
- პარლამენტმა დაიწყო საპარლამენტო კონტროლის იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც მე-8 და მე-9 მონვევის პარლამენტში არასდროს გამოუყენებიათ, მაგ. ფრაქციების მიერ, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე დაბარება და პრემიერ-მინისტრისათვის სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების ანგარიშის მოთხოვნა;



- გაიზარდოს საპარლამენტო კონტროლის პროცესის გამჭვირვალობა, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების, და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებული სახით და პროაქტიულად იყოს ხელმისაწვდომი; პარლამენტის ვებგვერდზე შეიქმნას ცენტრალიზებული აღრიცხვის სისტემა, სადაც განთავსდება ინფორმაცია, მინისტრების და სხვა თანამდებობის პირების კომიტეტზე დაბარების შემთხვევაში, მათი მისვლის ან პარლამენტის მოთხოვნის რეაგირების გარეშე დატოვების შესახებ; კომიტეტები, საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სრულად და გონივრულ ვადებში უნდა აწვდიდნენ დაინტერესებულ პირებს.



